პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 1 ივნისი, 1952 წ. № 129 (9289). ფასი 20 კაპ.

ДЦЕС ГАЗЕТИШИА

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვოლგა შეხვდა დონს (1-ლი გვერდი).
ვარლამ ყურული — **ვოლგა-დონის სიმღერა** (მე-2 გვერდი).
დავიცვათ ბავშვები ახალი ომის საფრთხისაგან! (მე-2 გვერდი).
კ. სიხარულიძე — **როცა დავიწყებულია შესრულების შემოწმება** (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა — გაზეთი კრიტიკას გაურბის (მე-2 გვერდი).
ფელეტონი — **უმსგავსოება არ უნდა ასრულდეს** (მე-3 გვერდი).
კრიტიკის ჩახშობით იჩრდილება ნაკლოვანებანი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

პროგრესული კაცობრიობა მშვიდობისათვის შეუნელებელი ბრძოლის ვითარებაში აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ეს დღე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით დაწესდა და პირველად აღინიშნა ორი წლის წინათ, 1950 წლის 1 ივნისს.

— ბავშვი, მომავლის იმედი, მომავლის სიხარული — რა ამაყად ეღერს ეს სიტყვები, რამდენი სითბო და სიტკბოა მათში ჩაქსოვილი!... „ცხოვრების ხელადადელი შემოქმედნი"—ასე უწოდებდა მომავალ თაობას საბჭოთა კულტურის დიდი მოამაგე მ. გორკი. და სწორედ იმიტომ, რომ ბავშვები ხალხთა იმედს, მათს სიამაყესა და მომავალს წარმოადგენენ, სულ უფრო ძლიერდება ბრძოლა მშვიდობისათვის, ბავშვების დასაცავად, ახალი ომის გამჩაღებელთა ავაზაკური გეგმების ჩასაფუშავად.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია დიდი საბჭოთა კავშირი, მშვიდობის მომხრეთა უძლეველი ფრონტის საქმიანობას წარმართავს დიდი სტალინი. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა მტკიცედ დგას მშვიდობის სადარაჯოზე, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მომავალი თაობის კეთილდღეობის სადარაჯოზე.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ყველა პირობა ბავშვთა ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის, მათი ნიჭისა და უნარის სრულყოფილად გაფურჩქვნისათვის, ფიზიკური წრთობისა და შემოქმედებითი აღზრდისათვის.

ამას წინათ ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციამ, რომელიც თავის რიგებში ცხრამეტ მილიონზე მეტ ბავშვს აერთიანებს, ზეიმით აღნიშნა დაარსების 30-ე წლისთავი. პიონერთა ორგანიზაციაში აღზრდილი მრავალი საბჭოთა ადამიანი დღეს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი მუშაკია. მგზნებარე პატრიოტიზმი, სიყვარული ცოდნისა და პატიოსანი შრომისადმი, პატივისცემა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხებისადმი, მზადყოფნა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად — აი რას ასწავლის ბავშვებს ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაცია. ასეთივე სულისკვეთებით ზრდიან ახალგაზრდობას ლენინურ-სტალინური კომკავშირი, ლენინ-სტალინის პარტია.

ჩვენი ქვეყნის ბავშვებს, მთელ ახალგაზრდობას კარგად ახსოვთ დიდი სტალინის სიტყვები: „ჩვენს წინაშე ცხე-სიმაგრეა. მას, ამ ცხე-სიმაგრეს, ეწოდება მეცნიერება ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგებით. ეს ცხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ რადაც უნდა დაგვჯდეს. ეს ცხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს იყოს ახალი ცხოვრების მშენებელი, თუ მას სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი გახდეს".

დიდი ბელადის ამ მითითებას საბჭოთა ახალგაზრდობა წარმატებით ახორციელებს. სკოლებში ცოდნის შეძენისა და მეცნიერების დაუფლებისათვის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ მალე დადგება საზაფხულო არდადეგები. მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდა მხიარულად გაატარებს დროს ჩვენი ქვეყნის თვალწარმტაც აგარაკებზე, დასასვენებელ ადგილებში. მრავალი მილიონი ბავშვი დაისვენებს პიონერთა ბანაკებში, ახალ ენერგიას შეიძენს, რომ კვლავ განაგრძოს ბრძოლა მეცნიერების დაუფლებისათვის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ბავშვებისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. ნამდვილი ადამიანური აღზრდის პირობებს ჩინეთში საფუძველი ჩაუყარა სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ. ჩინელი ბავშვებისათვის ფართოდ გაიღო სასწავლებლების კარი. ჩინეთის სახალხო მთავრობა ყველაფერს აკეთებს ბავშვების საკეთილდღეოდ. სულ უფრო ფართოვდება სკოლების, საბავშვო დაწესებულებების ქსელი პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ალბანეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამში. იქ, სადაც თავისუფლების მზემ შეაღწია, მომავალ თაობას სითბო და ზრუნვა არ აკლია.

მაგრამ არის კაპიტალისტური სამყარო, სადაც მშრომელთა ბავშვებისათვის არ არსებობს სიხარული და ადამიანური ცხოვრების პირობები. ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებიც ახალი მსოფლიო ომისათვის ემზადებიან, რომლებმაც აგრესიული ომი გააჩაღეს უდანაშაულო კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ცხადია, მშრომელთა ბავშვების კეთილდღეობაზე არ ფიქრობენ. მათი მიზანია ომი. ისინი ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, ადიდებენ სამხედრო ხარჯებს. ომის ფსიქოზი მოსვენებას არ აძლევს და საომარი მზადების ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება უბრალო ადამიანებს, მშრომელებს, მათს ბავშვებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ათ მილიონზე მეტი ოჯახი ქოხმახებში ცხოვრობს, მათს ბავშვებს არა აქვთ ნორმალური აღზრდის შესაძლებლობა. მილიონობით ბავშვის ხვედრია ყოველდღე 12-13 საათი მძიმე ფიზიკური მუშაობა.

იტალიაში ექვს მილიონზე მეტი ავადმყოფი ბავშვი მოკლებულია სამედიცინო დახმარებას. იქ ყოველი მესამე ბავშვი უსწავლელი რჩება. სასკოლო ასაკის ორი მილიონი იტალიელი ბავშვი სასწავლებელში არ დადის.

საფრანგეთში, სადაც შარშან სამხედრო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის 50 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები—1,1 პროცენტს, მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია. მშრომელთა შვილების მხოლოდ ორ პროცენტს შეუძლია მოხვდეს უმაღლეს სასწავლებელში.

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ იქ ბავშვებს ჰყიდიან. მაგალითად, იაპონიაში შარშან სამასი ათასი ბავშვი გაიყიდა.

ამერიკელი იმპერიალისტები განგსტერებად ზრდიან მომავალ თაობას. ბავშვებს ასწავლიან მკვლელობას, ავაზაკობას, გამცემლობას, ხალხთა სიძულვილს. ამ მიზნით იყენებენ პრესას, კინოს, რადიოს. ამერიკული ფილმების გავლენით საფრანგეთშიც მნიშვნელოვნად გადიდდა ბავშვთა დანაშაულობანი.

მსოფლიო რეაქციის ბნელი ძალები არ ცხრებიან, ახალი ომის გამჩაღებლები სულ უფრო კარგავენ ადამიანურ სახეს. ამას მოწმობს კორეაში შექმნილი მდგომარეობა, კორეელ ბავშვთა მდგომარეობა. ამერიკელი იმპერიალისტები კორეელ ბავშვებს ნაპალმის ბომბებით უმასპინძლდებიან, სახლკარს უნგრევენ, მშობლებს უხოცავენ, უმოწყალოდ ჟლეტენ, მათ წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს იყენებენ.

ყველა ქვეყნის მშრომელებმა იციან, რომ დროზე თუ არ იქნა მიღებული ზომები, ამერიკელი იმპერიალისტები უბედურებას განუმზადებენ მშვიდობისმოყვარე სხვა ქვეყნების ბავშვებსაც. ამით აიხსნება, რომ იზრდება და ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა ფრონტი.

მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა ამას წინათ ვენაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციამ. კონფერენციამ აღნიშნა ბავშვთა უმწეო მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, აღნიშნა, თუ როგორ ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდისათვის საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. კონფერენციამ ბავშვთა დაცვა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად დასახა.

ბავშვთა კეთილდღეობისათვის ბრძოლა განუყოფელია მშვიდობისათვის ბრძოლისაგან.

— დავიცვათ ბავშვები, გზა გადავუღობოთ ახალი ომის გამჩაღებლებს, ვიხსნათ ხალხთა მომავალი! — ამ ლოზუნგით იბრძვიან მშვიდობის მომხრენი მთელ მსოფლიოში. ამავე ლოზუნგით ატარებენ ისინი ბავშვთა დაცვის დღეს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ო. ნ. ეგაძის საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ოთარ ნიკოლოზის-ძე **ეგაძე** საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1952 წ. 31 მაისი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფელი კულტუბანი გამოეყო გაურის რაიონის ლესელიძის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ამავე რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს. (საქდესი).

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

მევაგონეები აჩქარებენ ვალდებულებებს

ფართოო გააჩაღა რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავი შეჯიბრება ამიერკავკასიის რკინიგზის მე-4 სამგზავრო-საავგონო უბნის კოლექტივმა.

მევაგონეები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. ერთერთი ვალდებულება ითვალისწინებს დანაზოგი მასალებით გეგმის გადაჭარბებით 6 ვაგონის შეკეთებას. ამ რაოდენობიდან დღეისათვის უკვე გამოშვებულია 5 ვაგონი. მაისში ნაცვლად შეჯიბრებით ნაკისრი 110 პროცენტისა, მევაგონეებმა ვაგონების საშუალო შეკეთების გეგმა შეასრულეს 122,2 პროცენტით, ხოლო წლიური შეკეთებისა — 104 პროცენტით.

შეჯიბრებაში დაწინაურდა ვაგონების მღებავთა ა. ვარნაზოვის ბრიგადა. ამ ბრიგადის წევრები წინასწარ ამზადებენ სამუშაო ადგილს, ასუფთავებენ შესაღებავ ვაგონს, ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს. ამით ისინი აღწევენ შესრულებული სამუშაოს მაღალ ხარისხს და საღებავი მასალის მნიშვნელოვან ეკონომიას.

საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში აქ დანერგეს ხარატ ვლ. ქანთარიას რაციონალიზატორული წინადადება. ამ წინადადების საფუძველზე ხარატმა ქანთარიამ შექმნა ისეთი ხელსაწყო, რომელიც აუმჯობესებს ვაგონების გადასაბმელი ჭანჭიკების გაჩარხვას და 70 პროცენტით ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მაისში კარგი მუშაობით ისახელეს თავი მატარებლის ოსტატებმა ი. სუხიშვილმა, ვ. ადამეცკიმ და ა. მაჩხანაშვილმა. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ და ნოვატორულ მეთოდებს მუშაობაში ფართოდ იყენებენ ზეინკლები ს. სტურნიევი, პ. ვალატოვსკი, დურგალი ა. დაუშვილი და ელექტრომონტიორი მ. პედური.

მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის

— რესპუბლიკის დედაქალაქს — თბილისს უნდა ექნეს ყოველმხრივ სანიმუშო და კეთილმოწყობილი სამგზავრო სადგური! — ამ ლოზუნგით გააჩაღეს თბილისის სამგზავრო სადგურის მუშაკებმა რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოს სამგზავრო სადგურის კოლექტივი. სამგზავრო სადგურის კოლექტივმა იკისრა იმუშაოს უწუნოდ, არ დაუშვას ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დარღვევა, მეისრეთა შორის ფართოდ დანერგოს საისრე მეურნეობაში არსებული ახალი ნოვატორული მეთოდები, წლის ბოლომდე ექსპლოატაციის დარგში გაწეული ეკონომიის სახელმწიფოს მისცეს 40 ათასი მანეთი მოგება, ხოლო ვაგზლის მეურნეობიდან — 600 ათასი მანეთი, სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობაში იქონიოს სადგური და მისი ტერიტორია, უზრუნველყოს მატარებლების ჩამოყენება ჩასასხდომად 45 წუთით ადრე, განახორციელოს მატარებლებში მგზავრთა ორგანიზებული ჩასხდომა, 102 პროცენტით შეასრულოს ადგილობრივი შემოსავლის გეგმა.

დაიწყო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება. სადგურის მუშაკთა შორის კარგი მუშაობით მაისში თავი ისახელეს უფროსმა მეისრეებმა ს. ზარასპაშვილმა, ზ. ლომიტაშვილმა, გ. მღებრიშვილმა, გ. გუგულაშვილმა, დ. ტერენსენკომ, ვ. ბიჩინაშვილმა და ე. ბელენკომ.

მატარებლების სწრაფად შედგენაზე საუკეთესოდ მუშაობენ ვ. ყურაშვილი, გ. დათაშვილი და ა. ბელენკო. აღსანიშნავია სადგურის მოწინავე მორიგეების ი. ნადარეიშვილის, ა. მეხრიშვილის, დისპეტჩერ ა. ჯიქიას და ვაგზლის მორიგეების გ. შარაშენიძის, ა. ქორიძის და კ. ქადეიშვილის კარგი მუშაობა.

სამგზავრო სადგურის კოლექტივმა მეტი ენერგიით უნდა იბრძოლოს სადგურში სანიმუშო წესრიგისა და მგზავრთა კულტურული მომსახურების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი

სამტრედია. (საკ. კორ.). სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეაბრეშუმემ ლენინის ორდენოსანმა პაშა შუბლაძემ 9 გრამ თესლზე ძაფსაღებ ფაბრიკას ჩააბარა 38,2 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და გეგმა 132 პროცენტით შეასრულა.

პ. შუბლაძემ, რომელიც აბრეშუმის ჭიას ქოსტაურული წესით ზრდიდა, 23 დღეში დაამთავრა ჭიის კვება.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1952 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის დღეს.
ქალაქ მოსკოვის 612-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ვერა კონდაკოვა მხურვალედ მიესალმება **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს უყვავილების თაიგულის გადაცემის შემდეგ.**
ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ვოლგა შეხვდა დონს

კრასნოარმეისკი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლებს სიხარულის დღე აქვთ. დამთავრდა გრანდიოზული სამუშაო. ვოლგა შეუერთდა დონს.

ეს დღე მკაფიო ფურცლად შევა კომუნიზმის დიად მშენებლობათა მატიანეში. განხორციელდა ხალხის საუკუნოვანი ოცნება.

...როგორც კი ვოლგაზე ირიჟრაჟა, კრასნოარმეისკის სამშენებლო რაიონის ნაგებობებთან თავს იყრიან წყლის ტრასის მშენებლები, სტალინგრადის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

12 საათზე და 40 წუთზე მეორე რაბის ზედა მისასვლელ კარებს მოადგა დონის წყალი... გაიხსნა ფარსახურის საკეტები და წყალმა ზხუილით იწყო კამერის ავსება. ხოლო 55 წუთის შემდეგ — 13 საათსა და 35 წუთზე წყალი უკვე გამოჩნდა რაბის ქვემო მისასვლელის კარებიდან.

ერთდროულად დონის წყლის შესახვედრად პირველი რაბის ზედა კარიდან უფრო მძლავრი ნაკადით შემოვარდა ვოლგის წყალი. ვოლგა და დონი გაეშურნენ ერთმანეთის შესახვედრად.

დგება აღმაფრთოვანებელი წუთები. მანძილი სულ უფრო მცირდება. სულ რამდენიმე მეტრი დარჩა.

საათის ისარი 13 საათსა და 55 წუთს უჩვენებს. ამ მომენტში ერთმანეთს შეხვდნენ ვოლგა და დონი. მათი წყლები შეერთდნენ, აქაფდნენ, გაიშალნენ და დაფარეს არხის ფსკერის უკანასკნელი მეტრები.

დონის წყალი, რომელიც წყალგამყოფიდან ჩაპურნინის ციცაბო კიბეებზე ეშვებოდა, მიდიოდა რუსეთის დიდი მდინარის შესახვედრად.

მქუხარე ტაშით და „ვაშას" შეძახილებით ხვდებიან გმირი ქალაქის ათასობით მშენებლები და მშრომელები ამ საზეიმო ამბავს. არხის ნაპირებიდან გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს!" „დიდება მშობლიურ, საყვარელ სტალინს!" ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს. დამსწრენი ერთმანეთს ულოცავენ გამარჯვებას. ეღერს სიმღერები. არაჩვეულებრივი მხიარულებაა.

დონის წყალი მიედინება ვოლგაში.

* * *

ძნელი გზა განვლო დონმა სანამ დღეს ვოლგას შეხვდებოდა.

ცივ ქარიან დღეს, 1 თებერვალს, როცა ერგენინში ქარბუქი მძვინვარებდა, კარპოვკის სატუმბავ სადგურში ამუშავდა პირველი აგრეგატი და დონის წყალი მიედინებოდა ვოლგისაკენ. ყინულებმა შეაფერხეს მისი მოძრაობა. მაგრამ მძლავრი სატუმბავი აგრეგატების გავლენით წყალი გზას იკაფავდა და სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა წყალგამყოფის მწვერვალისაკენ. დონის ფერდობით ის მიედინებოდა რაბების გარშემოვლით შემოსავლელი არხებით და გიგანტური მილსადენით.

4 მაისის ღამით მე-13 რაბის საბრძანებლო პუნქტიდან პირველად გაისმა სიტყვები: „გახსენით ფარსახურები!" დონის წყალი კარპოვკის წყალსაცავიდან გაემართა რაბის კამერისაკენ, ხოლო 6 მაისს რაბი გაიარა პირველმა გემებმა. მას შემდეგ ბრძანება: „გახსენით ფარსახურები!" რამდენჯერმე გამეორდა დანარჩენ რაბებში და ეს ბრძანება ყოველთვის აღფრთოვანებდა მშენებლებსა და სტუმრებს.

ოთხი თვე გრძელდებოდა დონის წყლის სვლა ვოლგისაკენ.

კარპოვკის, მარინოვკისა და ვარვაროვკის სატუმბავ სადგურებთან წყალი ავიდა ერგენინის მაღლობის მწვერვალზე — 44 მეტრზე დონის დონედან და 88 მეტრზე ვოლგის დონედან. აქედან უკვე თვითდინებით წავიდა დონის წყალი ვოლგის დაღმართით. მის გზაზე წარმოიშვა სამი დიდი წყალსაცავი და ოთხი რაბისპირა ტბა 300 მილიონ კუბომეტრზე მეტი წყლის საერთო ტევადობით.

დიდ მდინარეთა შეხვედრით დამთავრდა მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის დაძაბული მუშაობა, რომელთაც საყოველთაო-სახალხო დახმარებით შექმნეს სტალინური ეპოქის დიადი ნაგებობა. ეს ნაგებობა აღიმართა ველებზე 15 რაბის, სამი სატუმბავი სადგურისა და სხვა ობიექტების კორპუსებით, ის გადაიშალა ციმლიანსკის ჰიდროკვანძის დიად პანორამად, სადაც ერთად სცემს ვოლგა-დონის გული. გაჩნდა ახალი ზღვა სარწყავი სისტემის ვრცელი ქსელით.

კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო — ვოლგა-დონის ზღვა სიცოცხლეს იწყებს!

ხორბლის უხვ მოსავალს მოელიან

აბაშა. (სპეც. კორ.). კოლმეურნეები დიდ ინტერესს იჩენენ ხორბლის კულტურისადმი. ორიოდე წლის წინათ აქ ხორბალი 30 ჰექტარზე ჰქონდათ დათესილი, ამჟამად კი დათესილი აქვთ 500 ჰექტარზე. გათვალისწინებული აქვთ უახლოეს წლებში ხორბლის ნათესები 6.000 ჰექტარამდე აიყვანონ და მოსავლიანობაც ერთიორად და მეტად გაადიდონ.

აღსანიშნავია, რომ რაიონში ძირითადად უხვმოსავლიანი ჯიშები უთესიათ, მათ შორის „ლაგოდეხური გრძელთავთავა" — 167 ჰექტარი, კახური დატოტვილი ხორბალი—111 ჰექტარი.

კოლმეურნეობებმა წელს მთელ ფართობზე მოაწყეს ნათესების მინერალური და ორგანული სასუქებით გამოკვება, მარგვლა და მექანიზებული ფარცხვა. კარგი მოვლის შედეგად ბევრგან ჰექტარზე 20-25 ცენტნერ ხორბალს მოელიან.

ბეჯითად შრომობენ

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები აქედანვე შეუდგნენ თივის დამზადებას საზამთრო საძოვრებზე. აზერბაიჯანის სსრ ინმიშლის რაიონში 180-ზე მეტი თელაველი მთიბავი მუშაობს. მათ 4.000 ტონამდე საკვები უნდა დაამზადონ.

მთიბავთა ბრიგადები უზრუნველყოფილი არიან საკვები პროდუქტებით, ტრანსპორტითა და სათანადო ინვენტარით. ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მთიბავთა ბრიგადა, რომელშიც 24 კაცია, ყველაზე უკეთესად მუშაობს. ბრიგადამ უკვე დაამზადა პირველი 400 ტონა თივა.

დავიცვათ ბავშვები ახალი ომის საფრთხისაგან!

★

საუბარი საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ნ. მ. პარფიონოვასთან

★

1 ივნისს მსოფლიო საზოგადოებრიობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც ქალთა მსოფლიო დემოკრატიულმა ფედერაციამ დააწესა სამი წლის წინათ.

მილიონობით მამა და დედა, მასწავლებელი და ექიმი, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე ამ დღეს კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მოითხოვს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის ასიგნობათა გადიდებას; სამხედრო ბიუჯეტების შემცირებას; სკოლებში, პრესაში, კინოთი და რადიოთი ომის პროპაგანდის შეწყვეტას; ბავშვების აღზრდას მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა შთაგონებულია საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითით.

სსრ კავშირში, სადაც მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევები დაყენებულია ადამიანის სამსახურში, ნორჩი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია ბედნიერი ბავშვობა და ხალვილი დემოკრატიული აღზრდა. ქალი-დედა და ბავშვი საყოველთაო-სახალხო ზრუნვით სარგებლობენ, მათს ინტერესებს მთავარ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირში შექმნილია დედისა და ბავშვის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მწყობრი სისტემა. ყველა ბავშვი სწავლობს თავის დედაენაზე. ასზე მეტ ენაზე წარმოებს სწავლება საბჭოთა სკოლაში.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედზე მეტი ასიგნებულია სახალხო განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებისათვის, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სათვალავით მეხუთე შემცირება ახალი დადასტურებაა საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის განუწყვეტელ ზრუნვას იჩენენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ორი წლის მანძილზე ახალ ჩინეთში ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა, მოწყობილია ათასობით ახალი საბავშვო ბაღი და საბავშვო ბაღი; ალბანეთში, სადაც წარსულში მოსახლეობა თითქმის მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ახლა ყველა ბავშვი სწავლობს; გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულია სკოლისა და აღზრდის მთელი სისტემის დემოკრატიზაცია, გაფართოებულია სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელი, იქ ყოველი ბავშვი სწავლობს.

კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში კი ბავშვები განწირული არიან შიმშილისათვის, სიღატაკისა და ავადმყოფობისათვის, ისინი მოკლებული არიან განათლების მიღების შესაძლებლობას, განიცდიან სასტიკ ექსპლოატაციას და ამერიკული „კომიქსების“ („კომიკური“ სურათების სერიები. — **რედ.**) და კინოსურათების გამხრწნელ გავლენას.

აი ამიტომ კეთილშობილურმა მისწრაფებამ—დაცულ იქნან ბავშვები ახალი ომის საფრთხისაგან და გაუმჯობესდეს ბავშვთა მდგომარეობა კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა მოსახლეობის ფართო ფენებში და დასაბამი მისცა მოძრაობას ბავშვთა დასაცავად. 40 ქვეყანაში შექმნილია და მუშაობენ ბავშვთა დაცვის ეროვნული კომიტეტები. 30 ქვეყანაში მოეწყო ეროვნული კონფერენციები.

იმის შეგნებამ, რომ ბავშვები საფრთხეში იმყოფებიან, მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და აღზრდისათვის უდიდესმა პასუხისმგებლობამ ბავშვთა დაცვის ამასწინანდელ კონფერენციაზე ვენაში შეკრიბა სულ სხვადასხვა შეხედულებისა და პროფესიის ადამიანები 64 ქვეყნის დელეგატებმა მიიღეს მონაწილეობა ამ კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები. მოსამზადებელი კომისიის მიწვევის მიუხედავად, კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდს“, „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კავშირს“ და სხვა მათ მსგავს ორგანიზაციებს, რომლებიც თავს ბავშვთა უფლებების დამცველს უწოდებენ.

კონფერენციაზე გამოსულმა ყველა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობების საომარი მზადების პოლიტიკასა და ბავშვთა მდგომარეობის გაუარესებას პირდაპირი კავშირი აქვს ერთმანეთთან; მათ განაცხადეს, რომ ბავშვთა კეთილდღეობა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობის პირობებში.

ბავშვთა ცხოვრების პირობები მეტად მძიმეა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

იმპერიალისტურ მთავრობათა მიზეზით მსოფლიოს ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია განათლების მიღების შესაძლებლობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში არ სწავლობს სასკოლო ასაკის ოთხ მილიონზე მეტი ბავშვი, ესპანეთში მთელი ბავშვების ნახევარი სკოლის გარეთ არის, თურქეთში სოფლების 75 პროცენტს სკოლა არა აქვს.

ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის მოსამზადებლად 1952 წელს იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის 80 პროცენტზე მეტი, ხოლო განათლებაზე 1 პროცენტზე ნაკლები. ბელგიაში სამხედრო ხარჯები 1938 წელთან შედარებით 450 პროცენტით გადიდდა. იაპონიაში სახელმწიფო ბიუჯეტის 60 პროცენტი განკუთვნილია სამხედრო ხარჯებისათვის, განათლებისა და კულტურისათვის კი — მხოლოდ 0,85 პროცენტი. თურქეთში განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის გადადებულია თითქმის ათჯერ ნაკლები თანხა, ვიდრე საომარი მზადებისათვის.

ბავშვთა დაცვის კონფერენციაზე მთელი სიმწვავით აღიძრა საკითხი ომის შესახებ, თუ რა გამხრწნელ გავლენას ახდენს ამერიკის ლიტერატურა და კინო, რაც ფართოდ გაავრცეს სხვა ქვეყნებში. მოხსენებაში ბავშვების აღზრდის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ყველა ამერიკული ფილმი და წიგნი ემსახურება ომის იდეოლოგიური მომზადების მიზნებს და ეს „განხილულ უნდა იქნას, როგორც ნაწილი საომარი მზადებისა, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც იარაღის წარმოებას“.

კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღებითა და მხურვალე თანაგრძნობით მოისმინეს კორეის წარმომადგენლის კიმ ენ სუნის სიტყვა. მან ილაპარაკა, თუ რა ნგრევას ეწევიან და რა მხეცობას სჩადიან ამერიკელი აგრესორები კორეის ტერიტორიაზე, რომ ისინი ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობენ, რითაც აღოვენენ ომის წარმოების ყველა საერთაშორისო წესს. ამერიკელი ჯალათების ხელით დაიღუპა 300 ათასი კორეელი ბავშვი, კიდევ უფრო მეტმა დაკარგა მშობლები და თავშესაფარი. ეს საშინელი სურათი თავიანთი ნაამბობით შეავსეს ჩინეთის წარმომადგენელმა კან კე-ცინმა, დემოკრატ იურისტთა კომისიის წევრმა იტალიელმა კავალიერიმ, ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ მონიკა ფელტონმა, აგრეთვე სხვა ქვეყნების დელეგატებმა. ამასთან დაკავშირებით კონფერენციამ თავის მიმართვაში ყველა ქალისა და მამაკაცისადმი განაცხადა:

„მოვთხოვოთ მთავრობებს შეწყვიტონ ომები, რომლებსაც სიკვდილი მოაქვს კორეის, ვიეტნამისა და მალაიის ბავშვებისათვის... დავგმოთ საშინელი დანაშაული—ბავშვთა მასობრივი დახოცვა და მოვითხოვოთ, რომ აიკრძალოს ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი—ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღი“.

კონფერენციაზე მხილებულ იქნენ თანამედროვე მალთუსიანელები, ვისაც ომი მიაჩნია „ბიოლოგიურ კანონად“, რომელიც ათავისუფლებს დედამიწას ზედმეტი მოსახლეობისაგან, რადგან ამ მოსახლეობას თითქოს არა ჰყოფნის საარსებო საშუალებანი.

თავის გადაწყვეტილებებში კონფერენცია მოუწოდებს იმისაკენ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ბავშვთა დაცვა აღიარებულ იქნას სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

მთელი მსოფლიოს მამაკაცებისა და ქალებისადმი მიმართვაში კონფერენცია მოუწოდებს — ყველა ქვეყანაში შეიქმნას ბავშვთა დაცვის ეროვნული და ადგილობრივი კომიტეტები. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისათვის მზადების დროს ყველგან უნდა გაჩაღდეს აქტიური ბრძოლა კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

„დაე 1 ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, — ნათქვამია მიმართვაში, — გადაიქცეს ყოველ ქალაქში, ყოველ ქარხანაში, ყოველ სოფელში მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის, ნდობისა და ძმობის მძლავრ მანიფესტაციად“. (საკადესი).

ვოლგა-დონის სიმღერა

დღეს, რუსეთის მდინარეთა დედა — ვოლგა შეუერთდა დონს.

ვოლგა, ვოლგა წყალთა დედავ,
მცირე ლექსში ვერ ჩაგტიე,
თუ პატარა ქებას ვბედავ,
ნუ დამძრახავ, მაპატიე!

სულ ბობოქრობს შენი ტალღა,
გხედავთ დონთან ჩქარა მისულს.
ვერ ვუწოდებთ მდორეს ახლა
შენს დინებას დარბაისლურს.

მეც რომ მიწა ვყოფილიყავ,
მკერდში ტრფობით ჩაგიკრავდი!
მტერთან ომში გმირი იყავ,
გმირს გიცავდა სტალინგრადი.

ზღვებს აერთებ დონთან ერთად,
მხრებს გიმაგრებს ჯებირები,
აბრწყინვალებ ღამეს თეთრად,
მზეს შუქითაც ეჯიბრები.

შენ ქალაქებს გიკაშკაშებს
ელსადგურთა მთელი წყება.
გვალვის დროსაც ივაჟკაცე,
როცა ყანებს ესაცხება!

დღეს ვეება რკინის რაბით
აქაფებულ ზვირთებს კეტავ...
გემი მოსკოვს მიისწრაფვის,
გზა მიეცი, წყალთა დედავ!

ვარლამ ჟურული

ზრუნვა მეშახტეთა ყოფაცხოვრებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). განუწყვეტლივ უმჯობესდება ტყიბულელ მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. შენდება მეშახტეთა ახალი კეთილმოწყობილი უბნები, გაჰყავთ გზები, აშენებენ სკვერებს, გაზონებს. მარტო მიმდინარე წელს ტყიბულის მშენებელმა ორგანიზაციებმა — ტყიბულქვანახშირისა და ტყიბულშახტმშენის ტრესტებმა უნდა ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 11.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაზეც ასიგნებულია სათანადო თანხა.

წლის დასაწყისიდან მშენებლებმა ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ გადასცეს მეშახტეთა საცხოვრებელი ერთი სამსართულიანი კაპიტალური სახლი. ამავე შახტის ტერიტორიაზე მოკლე ხანში დამთავრდება შვიდი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კაპიტალური სახლის აგება.

გაიხსნა ქასპის რკინიგზის ახალი სადგური

ქასპი. (საკ. კორ.). რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა ქასპის რკინიგზის სადგურის ახალი შენობა. სადგურის შენობაში არის კარგად მოწყობილი მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ბუფეტი, სასადგურო შენობისათვის საჭირო ყველა სათავსო შენობა და პერონი რადიოფიცირებულია.

ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით ქასპელმა რკინიგზელებმა იკისრეს რკინიგზელის სტალინური დღისათვის შეასრულონ გადიდებული საწარმოო ვალდებულებები.

პრესის მიმოხილვა

გაზეთი კრიტიკას ითხოვს

აყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში მეცხოველეობას წამყვანი ადგილი უკავია. რაიონში ბევრია მოწინავე კოლმეურნეობები, არიან ჩამორჩენილებიც, სადაც წლების განმავლობაში არ სრულდება პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გეგმები, ყურადღება არ ექცევა ფერმების კეთილმოწყობას, არის საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-დატაცებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს ორგანო „ახალი ხევი“ (რედაქტორი ამხ. ა. კაზალიკაშვილი) ვერ ამჩნევს რაიონის ცხოვრების ამ საგულისხმო ამბებს. გაზეთში იშვიათად იბეჭდება წერილები მეცხოველეობის საკითხებზე. საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის ოთხ თვეში „ახალი ხევის“ ფურცლებზე მეცხოველეობის შესახებ მხოლოდ ორიოდე ინფორმაციული ხასიათის შენიშვნა გამოქვეყნდა.

ასევე არაფერი დაბეჭდილა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე, სასოფლო საბჭოების მუშაობაზე. გამოქვეყნებული წერილების 80 პროცენტზე მეტი რაიონში გამართული კრებებისა და სხდომების ანგარიშები და ოფიციალური მასალებია.

„ახალი ხევი“ აშკარად ერიდება კოლმეურნეობებისა და რაიონის დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის, რომ გაზეთში მიმდინარე წელს არც ერთი კრიტიკული წერილი არ გამოქვეყნებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უწყინარი ტონით დაწერილ შენიშვნას. იქნებ გაზეთის რედაქცია ფიქრობს, რომ რაიონში ყველაფერი რიგზეა? მაგრამ განა თვით გაზეთი 23 თებერვალს რაიონის პარტიული აქტივის კრების შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში არ წერდა, რომ „სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ზოგიერთ დაწესებულებაში და კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევებს...“

„... რაიონის პროკურატურის, სახალხო სასამართლოს და მილიციის ორგანოები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან სახელმწიფო სახსრების, სოციალისტური დოვლათის მტაცებლობისა და სპეკულაციის აღსაკვეთად“.

მოვიგონოთ — სულ ცოტა ორი წელს აყაზბეგის სასადილოს საწყობი გამგედ მუშაობდა ა. სუჯაშვილი. მან გაფლანგა 117 ათასი მანეთი. როცა დანაშაულზე წაასწრეს, სუჯაშვილი მიმალა. შემდეგ იგი შეპყრობილ იქნა აზიაში. მისი საქმის გამოძიებაზე აწარმოებდნენ აყაზბეგის რაიპროკურატურის მუშაკები. ორჯერ მოეწყო სასამართლო ბუხჰალტრო ექსპერტიზა, რომელმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ სუჯაშვილს ნამდვილად გაფლანგული აქვს ზემოთ ნაჩვენები თანხა.

1951 წელს გამფლანგველის საქმეზე პროკურორმა გ. ლექოკელმა რატომღაც ხელახლა გამოძიებისათვის გამოძიებელ ი. ელოშვილს გადასცა. დაიწყო რიალდნენ სუჯაშვილის ნათესავები, მეგობრები, შეაგროვეს ყალბი დოკუმენტები და პროკურატურის მუშაკების წაყრუებით დამნაშავე გაამართლეს. რაიონში ასევე ლიბერალურად მოექცნენ დამნაშავე პირებს ვ. ქერაშვილს, კ. პაპიაშვილს, ელოშვილს და სხვებს.

გაზეთს კი ამის შესახებ კრინტიც აღარ დაუძრავს. იციან თუ არა ამ დანაშაულობათა შესახებ „ახალი ხევის“ მუშაკებმა? იციან, მაგრამ გაბედულ კრიტიკას რატომღაც სიჩუმეს ამჯობინებენ.

„ახალი ხევი“ სრულიად არაფერს წერს მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებაზე, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე. გაზეთის მუშაკები მოწყდნენ ცხოვრებას, კავშირი დაკარგეს მკითხველებთან, კორესპონდენტებთან.

მიმდინარე წლის 5 თებერვლის ნომრის მოწინავეში ნათქვამია: „კედლის გაზეთი ნათლად უნდა ასახავდეს იმ კოლმეურნეობისა და საწარმო-დაწესებულების მთელ საქმიანობას, ვისი ორგანოც ის არის“.

რა ფასი აქვს ამ განცხადებას, როცა თვითონ რაიონული გაზეთი არ ასრულებს ამ ამოცანას და კედლის გაზეთებს ამ მხრივ მეტად ცუდ მაგალითს უჩვენებს.

ჩანს, პარტიის აყაზბეგის რაიკომი სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევს თავის ორგანოს, ყოველდღიურად არ წარმართავს მის მუშაობას და ურიგდება იმას, რომ გაზეთმა თანდათან დაკარგა მასობრივი საკოლმეურნეო გაზეთის სახე.

„ახალი ხევის“ რედაქციამ სასწრაფოდ უნდა გარდაქმნას თავისი საქმიანობა.

დროშა შამპანკომბინატის საჩხერის ქარხნის კოლექტივს

საჩხერე. (საკ. კორ.). საქართველოს შამპანკომბინატის საჩხერის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ბ. საყვარელიძე) წარმატებით იმუშავა გასულ წელს — გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის დამზადება-გადამუშავების, საკონიაკე სპირტისა და პორტვეინის დამზადების გეგმები.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქარხნის კოლექტივს მიკუთვნებული აქვს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს შამპანკომბინატის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

რამდენიმე დღის წინათ მოხდა დროშის გადაცემა. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო წარმატებით შეასრულოს 1952 წლის გეგმები.

პარტიულ თემაზე

როცა დავიწყებულია შესრულების შემოწმება

შესრულების შემოწმება გადამწყვეტი ადგილი უკავია პარტიულ მუშაობაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სწორად იყენებენ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ამ ნაცად მეთოდს, განუხრელად ამაღლებენ თავიანთ ორგანიზატორულ როლს, წარმატებით რაზმავენ და უძღვებიან მასებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის, ხოლო იქ, სადაც შესრულების შემოწმების მნიშვნელობას სათანადოდ ვერ აფასებენ, მუშაობაში არის ნაკლოვანებანი, შეცდომები, ჩავარდნები.

დიდი სტალინი გვასწავლის: „შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება — ეს ის პროექტორია, რომელიც გვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგომარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუროკრატები და კანცელარისტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი ხარვეზებისა და გარღვევების ცხრა მეათედი აიხსნება შესრულების სწორად დაყენებული შემოწმების უქონლობით“.

ის პოლიტიკური შეცდომები და ჩავარდნები, რაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ამ უკანასკნელად გამოვლინდა, იმითაც აიხსნება, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში კი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ, რომელიც განცხრომის, პარადული კეთილდღეობისა და ობივატელური თვითდამშვიდების განწყობილებას ნერგავდა, დაივიწყა ამხანაგ სტალინის ეს მითითება.

იმის ნათელსაყოფად თუ რაოდენ საზიანოა შესრულების შემოწმების უგულებელყოფა, როცა არ ზრუნავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“ სისტემატურად ვერ ასრულებს გეგმას ასორტიმენტის მხრივ, აგრეთვე ზოგიერთი სახეობის პროდუქციის გამოშვების დავალებას. განსაკუთრებით დაბალია ამ საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხი. საქმის ვითარებას თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ფაბრიკის სისტემატური ჩამორჩენა პირველ რიგში იმით არის გამოწვეული, რომ აქ ნელი ტემპით ინერგება ახალი ტექნიკა, არ ზრუნავენ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, მოუგვარებელია შიდასაამქრო დაგეგმვა და აღრიცხვა, ზუსტად არ იცავენ საწარმოო პროცესებს, სათანადო დახმარებას არ უწევენ ჩამორჩენილ საამქროებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 132 კომუნისტს აერთიანებს, ხშირად მსჯელობს დასახელებულ ნაკლოვანებათა შესახებ, პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე იხილავენ ჩამორჩენის მიზეზებს, სახავენ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ სამწუხაროდ პარტიული ორგანიზაცია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში მიზანს ვერ აღწევს.

ის ფაქტი, რომ ამ საწარმოში დაბალია პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული როლი, პირველ რიგში იმით არის გამოწვეული, რომ აქ დანერგილია მუშაობის არაბოლშევიკური სტილი, გამეფებულია ფორმალიზმი. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული შესრულების შემოწმება. პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების ოქმებს თუ გავეცნობით, ნათელი გახდება, რომ ბევრი ღონისძიება, რომლის განხორციელებასაც პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები სახავენ, ფორმალური ხასიათისაა. თითქმის არც ერთ ღონისძიებას არ ასრულებენ. საკითხების მხოლოდ დაყენებით და დადგენილებათა მიღებით კმაყოფილდებიან.

გასული წლის ნოემბერში პარტიულმა კრებამ განიხილა თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებზეც, რომლებიც ხელს უშლის პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებას ასორტიმენტის მხრივ. განსაკუთრებით ბევრი ითქვა პროდუქციის ხარისხისა და ნოვატორთა გამოცდილების დანერგვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. პარტიულმა კრებამ მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახა სერიოზული ღონისძიება, რომლის განხორციელება უეჭველად დაეხმარებოდა ფაბრიკის კოლექტივს ამოცანის წარმატებით გადაჭრაში. მაგრამ პარტიული კრების ეს გადაწყვეტილებაც ქაღალდზე დარჩა. იმის მაგივრად, რომ პარტბიუროს მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის ეზრუნა და კომუნისტებისათვის მოეხსენებინა (როგორც ეს კრების დადგენილებაში იყო აღნიშნული) დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, მომდევნო თვეში პარტბიურომ პარტიულ კრებაზე კვლავ დააყენა ანალოგიური საკითხი. პრაქტიკული ღონისძიების ცალკე მუხლები თავიდან ბოლომდე წინა კრების დადგენილებიდან გადაწერეს. ასე მეორდება ერთი და იგივე ხასიათის დადგენილებანი პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების თითქმის ყველა ოქმში, შესრულების შემოწმებისათვის კი, როგორც წესი, თავს არ იწუხებენ.

შესრულების შემოწმების მნიშვნელობის შეუფასებლობისა და მისი არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად დაბალია კომუნისტების პოლიტიკური აქტივობა, დაბალ დონეზე დგას მთელი შინაპარტიული მუშაობა, რაც უარყოფით გაელენას ახდენს ფაბრიკის კოლექტივის მუშაობაზე. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელიებს ავიწყდებათ, რომ შესრულების შემოწმების მიზანი მხოლოდ ის კი არ არის, რომ აღვრიცხოთ ნაკლოვანებანი, გამოვიდეთ ფაქტების რეგისტრატორის როლში, ვეძიოთ საქმის ჩამშლელები და ამით დავკმაყოფილდეთ,—შესრულების შემოწმებაში მთავარი ის არის, რომ ოპერატიულად განვახორციელოთ მიღებული დადგენილება, უზრუნველვყოთ დავალების განუხრელად შესრულება.

მიღებული გადაწყვეტილების დროზე და უნაკლოდ განხორციელება, მისი შესრულების კონტროლის სწორად მოწყობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რეალური და საფუძვლიანია თვით დადგენილება. ეს კი პარტიულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელებს ავალებს, რომ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ზუსტად გაეცნონ საქმის ვითარებას, გულდასმით შეისწავლონ ცალკე საკითხები და წინასწარ იმსჯელონ შესრულების შესაძლებლობაზე. ამ გზით პარტიული ორგანიზაცია მიაღწევს იმას, რომ თვითეული მისი დადგენილება შინაარსიანი, კონკრეტული და რეალური იყოს. მაგრამ სამწუხაროდ ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როცა პარტიული ორგანიზაციები ფორმალურად ეკიდებიან ამ საქმეს, წინასწარ არ ქმნიან საჭირო პირობებს იმისათვის, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზუსტად იქნას განხორციელებული.

ამის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ალ. მელექაძე). აქ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე დადგენილებებს იღებენ რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, ამიტომ ეს დადგენილებანი ხშირად ზერელე, საერთო ხასიათისა და არაფრის მთქმელია. მაგალითად, მიმდინარე წლის 10 აპრილს პარტიულმა კრებამ განიხილა პირველი კვარტალის საწარმოო დავალებათა შესრულების შედეგებისა და ფაბრიკის კოლექტივის მორიგი ამოცანების საკითხი. კრებამ მიიღო საკმაოდ ვრცელი დადგენილება. იგი 29 მუხლისაგან შედგება და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით არის სავსე, არაეითარი კავშირი არა აქვს საქმის ნამდვილ ვითარებასთან და ფაბრიკის კოლექტივის მორიგ ამოცანებთან. დადგენილებაში სწერია: „გაუმჯობესდეს ნახევრად ფაბრიკატის ხარისხი, არ იქნას დაშვებული წუნდებული პროდუქციის გამოშვება, დაყენებულ იქნას ის ნორმაზე“ ან კიდევ: „დაევალოს მოსამზადებელ საამქროს უფროსს ამხ. ბუაძეს ფართოდ გაშალოს და დანერგოს წარმოების მოწინავე ნოვატორთა მეთოდები“; „აღკვეთილ იქნას ტექნოლოგიურ მოწყობილობათა მოცდენა, დაყენებული იქნას ის გეგმიურ ნორმაზე“ და სხვ.

პარტიული კრების ამ გადაწყვეტილების შინაარსის გაცნობა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ დასახელებულ პარტიულ ორგანიზაციაში რა ფართოდ არის გავრცელებული საქმისადმი ფორმალური, არაბოლშევიკური დამოკიდებულება. დადგენილებათა მომზადებისა და მათი შესრულების შემოწმების მნიშვნელობის შეუფასებლობით უნდა აიხსნას, რომ ამ საწარმოს კოლექტივს პარტიული ორგანიზაცია საჭირო დახმარებას ვერ უწევს. შემთხვევითი როდია, რომ ფაბრიკაში არის შრომის დისციპლინისა და ტექნოლოგიური პროცესების უხეში დარღვევის შემთხვევები, რაც პროდუქციის ხარისხის გაუარესებასა და გეგმების შეუსრულებლობას იწვევს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი თავის პლენუმებზე და ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილავდა და იხილავს ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კერძოდ ფაბრიკა „საქტრიკოტაჟისა“ და ძაფსართავი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხს, იღებს გადაწყვეტილებებს, მუშაობის გაუმჯობესებისათვის სახავს გზებს, მოითხოვს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციებში საქმე მაინც წინ არ მიდის, მდგომარეობა გამოუსწორებელი რჩება. გასული წლის ოქტომბერში რაიკომის ბიურომ სპეციალურად განიხილა ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ ცალკე საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ პარტიული ორგანიზაციების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს—რეგულარულად არ იწვევენ პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებს, უგულებელყოფენ პარტიული კონტროლის უფლებას, დაბალ დონეზე დგას კომუნისტების იდეური აღზრდა, არ ეწყობა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და სხვ. ამასთან მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ფაბრიკის პარტბიუროო. (ყოფილი მდივანი დ. ბურჭულაძე), რომელიც სათანადოდ არ ხელმძღვანელობდა და არ ეხმარებოდა საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს. რაიკომის ბიურომ აღნიშნულ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიება დასახა. ეს იყო და ეს. რაიკომი დაკმაყოფილდა მხოლოდ საკითხის მოსმენით და არ შეამოწმა თავისი დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, კონკრეტულად არ დაეხმარა პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის გაუმჯობესებაში. ფაბრიკის საამქროთა პარტიულმა ორგანიზაციებმა კი თავის მხრივ დაივიწყეს რაიკომის ამ დადგენილების არსებობა და კიდევ უფრო შეასუსტეს მუშაობა.

ამ დადგენილების მიღებიდან დაახლოებით 5 თვის შემდეგ პარტიის რაიკომის ბიურომ კვლავ განიხილა ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დაახლოებით ისეთივე სახის ღონისძიებები მიიღო, როგორიც ოქტომბერში, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. პარტიის რაიკომი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ საკითხის მოსმენითა და გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდა.

პარტიის კიროვის რაიკომის მიერ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი „დახმარების“ ასეთი პრაქტიკა გამონაკლისი არ არის.

რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკებისადმი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ისინი იშვიათად მიდიან ადგილებზე, ხოლო როცა მიდიან, არ ამოწმებენ და კონკრეტულად არ ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობის უკეთ მოწყობაში.

შესრულების შემოწმების მნიშვნელობის შეუფასებლობამ, მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შესუსტებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე.

ამოცანა ის არის,

ფელეტონი

უმსგავსობა არ უნდა ასრულდეს

მშვენიერი სახლი დგას თბილისში რუსთაველის პროსპექტისა და ელბაქიძის ღალმართის კუთხეში. ლამაზი არქიტექტურული გაფორმებით მას ალბათ ბევრის ყურადღება მიუპყრია.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ეს სახლი გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას იპყრობს არა იმდენად თავისი სილამაზით, რადგან მას სილამაზეში ბევრი მეტოქე გამოუჩნდა, — რამდენადაც აურზაურითა და წვიალ-კივილით, რაც ხშირად გაისმის ამ შენობის პირველი კორპუსის მესამე სართულიდან.

ავყვეთ კიბეს. ავიდეთ მაღლა. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ცხვირზე ხელი უნდა მოიჭიროთ. იმ მომხიბლავ ჩუქურთმებიან კედლებში ჩასმული ფანჯრების მიღმა, რომელთაც თქვენ სიამოვნებით მისჩერებიხართ, დერეფანში ისეთი სიმყრალე დგას, რომ სუნთქვა გაგიძნელდებათ.

დერეფნის ბოლოს ერთი მობინადრე თავის სათავსში დაგროვებს ყოველგვარ სიბინძურეს, საჭმლის ნარჩენებს... რამდენიმე თვე ეს ნაგავი გროვდება, იხრწნება და მას კმაყოფილებით ყნოსავს... ვინ?

დოცენტი შალვა ნესტორის-ძე ადამია, რომელსაც პროსპექტზე გადმომდგარი კუთხე თითქმის მთლიანად უჭირავს. მას არც თავი ენანება, არც თავისი მშვენიერი ბავშვები, ოღონდ გაამწაროს თავისი მეზობლები და შექმნას ტანჯული კაცის შთაბეჭდილება მორიგი კომისიის მოსვლის მოლოდინში.

რათ სჩადის ამას? ნიშნად პროტესტისა. ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს აყროლებითი პროტესტი? თბილისის საბჭოს აღმასკომის წინააღმდეგ, რომელმაც ყველა ტექნიკური წესის დაცვით მოახდინა ამ შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, რითაც ოდნავ გაუმჯობესდა მდგომარეობა დოცენტ ადამიას მეზობლებისა, რომლებიც თითო ოთახში ცხოვრობენ.

ჩვენ არ გამოვუდგებით მთელი დეტალების აღწერას. მოკლედ მოგახსენებთ რეკონსტრუქციის შედეგს: თითო ოთახში მცხოვრებ ოთხ ოჯახს აივანზე ტიხრების გაკეთებით გაუდიდდათ საცხოვრებელი ფართობი, ხოლო დოცენტ ადამიას ეზოში ნაგვის გასატანად გასასვლელი გადაუნაცვლეს დაბლა სართულის მეშვეობით. აი მთელი „ტრაგედია“, რაც თავს დაატყდა შალვა ადამიას, რომელიც ამის შემდეგ თავზე იყრის ნაგავს. ბოლო აღარ უჩანს ადამიას საჩივარს.

აი სწორედ ამ საჩივრის გარშემო გვინდა ვესაუბროთ ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგს.

ორი წლის განმავლობაში თორმეტჯერ მოხდა ამ სახლის ადგილობრივი დათვალიერება. ადგილობრივი დათვალიერება მოახდინეს თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების ტექნიკურმა კომისიამ, პარტიის ბერიას რაიკომის კომისიამ პირველი მდივნის მეთაურობით, პარტიის თბილისის კომიტეტის კომისიამ ამხ. თავამაიშვილის მეთაურობით, მდგომარეობა ადგილზე შეამოწმეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წარმომადგენლებმა, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკებმა.

ყველანი ერთხმად დოცენტ ადამიას პრეტენზიას ყოვლად გაუმართლებლად თვლიდნენ და თვლიან. ასევე გაუმართლებლად ჩათვალა შ. ადამიას პრეტენზია და საქმე წარმოებით მოსპო ბერიას რაიონის მეორე უბნის სასამართლომ.

დოცენტმა ადამიამ ნაგავს ნაგავი მიუმატა და ხელახლა დაიწყო საჩივარი. ხან ერთ პასუხისმგებელ მუშაკს მიადგება და უყვება თავის „განსაცდელს“, ხან მეორეს. ყველას ხალხის მტრად ნათლავს, მეზობლებსაც და იმათაც, ვინც მისი მხარე არ დაიჭირა. და, წარმოიდგინეთ, ამ მოკინკლავეს თავისი გააქვს.

ჩვენ გაოცებული დავრჩით, როდესაც გავიგეთ ამავე რაიონის პირველი უბნის სასამართლოსაგან აღმასრულებელი ფურცლის გაცემა შ. ადამიას პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, და მივმართეთ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

— ფორმალურად სწორია, არსებითად კი უმსგავსობაა, — სიტყვა-სიტყვით ასე გვიპასუხა ამხ. ფურცხვანიძემ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრიც იმ აზრისაა, რომ ასეთი რამის ასრულება ყოვლად გაუმართლებელია.

ამავე აზრის არის პარტიის თბილისის კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. გ. თავამაიშვილი. მაშასადამე, ყველა დარწმუნებულია, რომ საძაგლობა ხდება. საზოგადოებრივი აზრი თითქოს შექმნილია, მაგრამ ყველანი უილაჯონი აღმოჩნდნენ კანონის თალმუდისტური განმარტების წინაშე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როდის გახდა ფორმალიზმი ჩვენი მართლმსაჯულების მუშაკთა დამახასიათებელი სტილი. ოთხი ოჯახის აწიოკება ვეებერთელა დარბაზებში გამოჭიმული ადამიას ჭირვეულობის დასაკმაყოფილებლად — ეს არის საკითხისადმი ბოლშევიკური მიდგომა?

„ლექტორ“ ადამიას მიმართ „ლექტორულმა“ ხათრმა ხომ არ გადაჭრა უკეთესად საკითხი?

ჩვენ არ ვიცით, როგორ კითხულობს ლექციებს ადამია. ის კი ვიცით, რომ მისი ქართული ჩიქორთულს ჰგავს. მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე კითხულობს ლექციებსო, — ასე გადმოგვცეს. მისი საქციელი ნათლად მოწმობს, თუ რამდენად ესმის და სწამს მას მარქსიზმ-ლენინიზმი.

ვთხოვთ ადამიას დამცველებს გაამახვილონ ლექტორის ყურადღება კაპიტალიზმის გადმონაშთების საკითხზე, განუმარტონ მას თუ რა არის სოციალისტური თანაცხოვრება, აუხსნან, რომ სახლი, რომელშიც იგი ცხოვრობს, მისი საკუთრება არ არის, რომ თბილისის საბჭოს აღმასკომს შეუძლია მოახდინოს შენობის რეკონსტრუქცია ისე, რომ ადამიამ სრულიად არაფერი დაკარგოს, ხოლო მეზობლებს, — აგრეთვე თანასწორუფლებიან საბჭოთა მოქალაქეებს — ნაწილობრივ მაინც გაუუმჯობესდეთ პირობები.

... აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცელი ჩაიბარა... უმსგავსობა არ უნდა ასრულდეს!

გერმან შუბიძე

ჩვენ გვწერენ

უთავბოლობის შედეგი

წყალსაწრეტი მილებისა და ღარის უქონლობის მიზეზით ფასადი სახურავიდან საფუძვლამდე ჩამორეცხილი და გაბზარულია, ჩამოწეული და ფანჯრის ჩარჩოზე დაყრდნობილია მეორე სართულის ერთ-ერთი ოთახის ფანჯრის თაღი. მობინადრე დ. ლომიძის ბინის სახურავში წლების მანძილზე წყალი ჩამოდის. ჭერი და კედლები დანესტიანებულია. ასეთია დიდუბისა და ევდოშვილის ქუჩის კუთხის ორსართულიანი კაპიტალური სახლი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს სს რესპუბლიკის შრომითი რეზერვების რკინიგზის № 2 სასწავლებელს.

სახლის გადაუდებელი შეკეთებისა და წესრიგზე მოყვანისათვის მობინადრეებმა არაერთხელ მიმართეს აღნიშნული სასწავლებლის დირექციას და შრომითი რეზერვების სამმართველოს. მობინადრენი უწინარეს ყოვლისა სახურავის შეკეთებას ითხოვდნენ. მაგრამ სახურავის შეკეთების ნაცვლად 1950 წელს სახლს შიგა რემონტი გაუკეთეს. ჭერი, კედლები მხატვრულად გააფორმეს და ამრიგად რემონტზე მრავალი ათეული ათასი მანეთი „აითვისეს“.

მაგრამ იმავე წელს სახლი კვლავ სარემონტო გახდა. პირველ სართულში წოთელი კუთხის მხატვრულად გაფორმებული ჭერი ჩამოინგრა, ამასწინათ ასევე ჩამოინგრა მობინადრე დ. ლომიძის ოთახის ჭერი.

საინტერესოა, შრომითი რეზერვების სამმართველო და სასწავლებლის დირექცია გადადგამენ თუ არა საქმიანნაბიჯებს სახლის სახურავის შესაკეთებლად და 1950 წელს რემონტისათვის გამოყოფილი თანხის უთავბოლო ამთვისებელთა დასასჯელად?

გ. გეგუთიძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საუკეთესო პირობები გამოუყენებელი რჩება“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 14 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო წალკის რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვის ჩამორჩენა, გაკრიტიკებული იყო მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომის ბიუროს განიხილა აღნიშნული წერილი და მასში მოცემული კრიტიკა სწორად ცნო.

რაიკომის ბიუროს დადგენილებით რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხ. მ. გალუსტოვს და მთავარ აგრონომს ამხ. პ. შახბაზოვს საგაზაფხულო თესვის საქმეში კოლმეურნეობებისადმი სუსტი დახმარებისა და კონტროლისათვის გამოეცხადათ საყვედური. დაწესებულ ვადაზე მინერალური სასუქების გაუტანლობისათვის სოფელ დარაქოის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. კ. აგაჯანიანს, ხაჩქოის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ე. გალუსტოვს და ამკალის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ა. მაზმანიანს საყვედური გამოეცხადათ.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 28 მაისი. (საკღესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხი სავსებით იწონებს საბჭოთა მთავრობის ამა წლის 24 მაისს ნოტაში წამოყენებულ პრინციპებს, რომ გერმანიის საკითხი გადაიჭრას გერმანელი ხალხის, მისი მეზობლებისა და მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ინტერესების სასარგებლოდ. ჩეხოსლოვაკიის პრესა აქვეყნებს მრავალ გამოხმაურებას საბჭოთა მთავრობის ნოტაზე სათაურებში გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ინიციატივა გამოხატავს მის მტკიცე მისწრაფებას — უზრუნველყოს მშვიდობა.

გაზეთი „პრაცა“ ბეჭდავს სტატიას „საბჭოთა კავშირი პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდებს“. გაზეთი წერს: გერმანელ ხალხს, ხოლო მასთან ერთად მთელ კაცობრიობასაც, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ გერმანია ახალი საფრთხის წყარო არ იყოს, ნათლად აქვს შეგნებული უდიდესი განსხვავება იმასა, რაც ბონში მოხდა, და იმას შორის, რასაც კვლავ მოითხოვს საბჭოთა კავშირი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თავისი ნოტით საბჭოთა მთავრობამ კვლავ დასახა გერმანიის საკითხის გადაჭრის ერთადერთი გზა ოთხი სახელმწიფოს ურთიერთთანხმობის საფუძველზე. ეს გზა დაუყოვნებელი მოლაპარაკების გზაა, წერს გაზეთი. ეს გზაა პოტსდამის შეთანხმების პრინციპების დაცვა, კერძოდ გერმანიის საზღვრების საკითხში, შეთანხმებისა, რომელსაც ხელს აწერს შეერთებული შტატების ახლანდელი პრეზიდენტიც. ეს გზაა ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა, რომელშიც სრულიად გერმანიის თანხმობა არ იქნება შებოჭილი სპარატული შეთანხმებებით.

გერმანიის მოსახლეობა დღითიდღე სულ უფრო ენერგიულად ცხადყოფს თავის სურვილს იაროს ამ გზით, მიაღწიოს საზავო ხელშეკრულების დადებასა და ეროვნულ ერთიანობას.

საბჭოთა კავშირი, წერს დასასრულ გაზეთი, პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდებს ბონის დანშაულის სულისჩამდგმელთ. იგი პასუხისმგებლობისაკენ მოუწოდებს იმათ, ვინც მსოფლიო ბატონობისადმი გაატფრებულ, მაგრამ ამჟამ მისწრაფებაში თავის მოკავშირედ მიიწვია კაცობრიობის უბოროტესი მტრები — ჰიტლერელი ნაბოლარები.

საბჭოთა კავშირი, დასასკვნის გაზეთი, კვლავ გამოდის როგორც მილიონობით ადამიანის მისწრაფების გამომხატველი. საბჭოთა კავშირის ნოტაში ასახულია ასეულ მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნები.

გაზეთი „სვობოდნე სლოვო“ წერს: ჩვენ, გერმანიის მეზობლებმა, ვიცით — გერმანიის საკითხი საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკის საფუძველზე რომ გადაწყვეტილიყო, ჩვენი საზღვრები ყველგან მშვიდობის საზღვრებად გადაიქცეოდა. ადენაუერმა ხელი მოაწერა სპარატულ ხელშეკრულებას დოლარის იმ მსახურთა სახელით, როგორიც თვითონ არის და ჰიტლერის იმ აღზრდილთა ჯგუფის სახელით, რომელთათვის ნაციზმის გამანადგურებელ დამარცხებას არაფერი არ უსწავლებია.

კვლავ გამეორებული და ხაზგასმით აღნიშნული საბჭოთა წინადადებანი ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის შესახებ გამოხატაკენ გერმანელი ხალხის უმრავლესობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა სურვილს, რომლებიც კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლებენ ამ წინადადებათა განხორციელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

სლოვაკურ გაზეთ „ლუდის“ მოწინავე სტატიაში ნათქვამია: დასავლეთის სახელმწიფოებმა და ბონის ადენაუერის მთავრობამ აირჩიეს ომის გზა, რომელსაც საერთო არა აქვს რა მშვიდობისმოყვარე ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებთან, არამედ მხედველობაში აქვს მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელი იმპერიალისტების, იარაღის გერმანელი ფაბრიკანტების, მილიტარისტებისა და რევანშისტების ინტერესები. ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ გაერთიანებულმა, დემოკრატიულმა და მშვიდობისმოყვარე გერმანიამ მიიღოს ნამდვილად სამართლიანი საზავო ხელშეკრულება, რომელიც მოსპობდა ევროპაში ომის საფრთხის უაღრესად სერიოზულ კერას და ამით—ომის საფრთხეს მთელ მსოფლიოში.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხებმა დახმარება უნდა გაუწიონ გერმანელებს მათს გმირულ ბრძოლაში სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებისათვის საბჭოთა მთავრობის წინადადებათა საფუძველზე. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავუშვათ, ამთავრებს გაზეთი, რომ გამეორდეს 1939 წლის გაზაფხულის ამბები.

რუმინეთი

ბუქარესტი, 28 მაისი. (საკღესი). ბუქარესტის გაზეთები კვლავ უკეთებენ კომენტარს საბჭოთა მთავრობის ნოტას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. სტატიაში სათაურით „ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დადგეს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან!“ გაზეთი „სკინტეია“ აღნიშნავს:

გერმანიის საკითხის გადასაჭრელად საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებული ყოველი ახალი აქტი რუმინელ ხალხს მიაჩნია თავისი საკუთარი ნების და მშვიდობის შენარჩუნებისადმი თავისი მხურვალე მისწრაფების გამოხატულებად. მუდმივი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირისა, რომელიც იბრძვის ამერიკელი იმპერიალისტების ვერაგული ზრახვების წინააღმდეგ, ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის, რუმინეთის მშრომელებს მიაჩნიათ სსრ კავშირის და პირადად ამხანაგ ი. ბ. სტალინის ზრუნვად რუმინეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, განაგრძობს გაზეთი, ერთსულოვნად და მტკიცედ უჭერს მხარს მთელი პროგრესული კაცობრიობა, რადგან საბჭოთა საგარეო პოლიტიკა სავსებით შეესაბამება მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის ინტერესებს. თავისუფლებისმოყვარე რუმინელი ხალხი, რომელიც დიდად დაინტერესებულია იმით, რომ შეიქმნას ერთიანი, დემოკრატიული გერმანია, გამსჭვალულია ძმური სოლიდარობის გრძნობით გერმანიის დემოკრატიული ძალებისადმი, რომლებიც მშვიდობისა და ერთიანობისათვის იბრძვიან.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 27 მაისი. (საკღესი). ამერიკის გაზეთები კვლავ ფართო კომენტარს უკეთებენ საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. რეაქციული პრესა ცდილობს გაამართლოს გერმანიის გათიშვისა და დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკა, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები ახორციელებენ, და ამასთან დაკავშირებით ეხება სპარატულ სამხედრო ხელშეკრულებას, რომელსაც ბონში ხელი მოაწერეს ერთი მხრივ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა და მეორე მხრივ ადენაუერას მთავრობამ. ამერიკის რეაქციული პრესა, ითვალისწინებს რა დასავლეთ ევროპის ხალხების და პირველ რიგში გერმანელი ხალხის აღშფოთებას ბონელ რევანშისტებთან დასავლეთის სახელმწიფოთა შეთანხმების გამო, გამოთქვამს შიშს, რომ ადვილი არ იქნება სპარატული სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციის მიღწევა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღიარებს, რომ რატიფიკაციის „მიღწევა ადვილი არ იქნება, და ამას დიდი დრო დასჭირდება“.

გაზეთი აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებების უარყოფით დასავლეთის სახელმწიფოები „საშიშ გზას ადგებიან“. მაგრამ ეს გზა თითქოს გარდუვალია.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ მოწინავე სტატიაში აღიარებს, რომ ბონში დადებული ხელშეკრულების მიზანია დასავლეთ გერმანია ჩაითრიონ ატლანტიკის პაქტის პოლიტიკის განხორციელებაში.

ამასთან გაზეთი ცდილობს დაფაროს ატლანტიკის პაქტის აგრესიული ხასიათი. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტა „წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება მთელი გერმანიის გაერთიანების საკითხზე“. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს საბჭოთა ნოტის მითითებას, რომ „გერმანიის ერთ ნაწილთან ხელმოწერილი შეთანხმებანი არ დაკისრებენ რაიმე ვალდებულებას მთელი გერმანიის მომავალ მთავრობას“.

ასოშიეიტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტი ბოლტვუდი, ეხება რა საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, აღნიშნავს, რომ სპარატული სამხედრო ხელშეკრულება „ძალაში არ შევა, სანამ რატიფიცირებული არ იქნება, და მოსალოდნელია ხანგრძლივი და გაფფრებული ბრძოლა პარლამენტებში, განსაკუთრებით ბონსა და პარიზში, სადაც გავლენიანი პოლიტიკური ჯგუფები მტრულად ეკიდებიან ამ გეგმებს... აბნეულობა და შეშფოთება, რაც დასავლეთ გერმანიაში გამოიწვია საერთო ხელშეკრულებამ, რომლის შესახებაც მოლაპარაკება მიმდინარეობდა სოციალისტების მხრივ ოპოზიციის და კომუნისტების მხრივ თავდასხმის პირობებში, გამოიხატა იმით, რომ ადენაუერის მთავრობამ დღესასწაულად ვერ გადაქცია 26 მაისი, ხელის მოწერის დღე...“

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადენაუერთან სპარატული ხელშეკრულების ხელმოწერიდან მის რატიფიკაციამდე „კიდევ დიდი მანძილია“.

გაზეთი „დეილი კომპასი“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „ბონის საბედისწერო გადაწყვეტილება“ წერს, რომ ადენაუერთან ხელმოწერილი სპარატული ხელშეკრულება „ომის ხელშეკრულებაა“. გაზეთი მოუწოდებს უარყოფილ იქნას ხელშეკრულება და დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის თათბირი, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება გერმანიასთან ოთხი სახელმწიფოს ისეთი საზავო ხელშეკრულების შესახებ, რომლითაც აიკრძალება გერმანიის ხელახალი შეიარაღება.

„ნიუ-იორკ პოსტის“ მიმომხილველი ლერნერი შეშფოთებით აღნიშნავს „გერმანელთა უკმაყოფილებას და დასავლეთ ევროპის მოსახლეობის გაბოროტებას“ ბონის შეთანხმების გამო. გაზეთი აყენებს კითხვას: „ხელშეკრულებათა რატიფიკაციისათვის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ზარალი უფრო მნიშვნელოვანი ხომ არ იქნება, ვიდრე ჩვენი სარგებლობა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, ხომ არ იქნება ეს ერთ-ერთი ის ისტორიული „შესანიშნავი გმირობა“, რომელიც უფრო ძვირად ჯდებოდა, ვიდრე მისი უპირატესობანი“.

გაზეთი გაფრთხილებას იძლევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას გერმანიის საკითხში შეიძლება სერიოზული საფრთხე მოჰყვეს შეერთებული შტატებისათვის.

გაზეთი წერს: „ის ფაქტი, რომ რუსები შეთანხმების (იგულისხმება სპარატული სამხედრო ხელშეკრულება. — რედ.) წინააღმდეგი არიან, იმას როდი ნიშნავს, რომ, მაშასადამე, ეს შეთანხმება სიკეთეს მოუტანს დასავლეთის ქვეყნებს. იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ყველაფერი, რასაც რუსები ეწინააღმდეგებიან, ჩვენთვის კარგიაო, დიდი შეცდომაა... ნახეთ, რის მომასწავებელი შეიძლება იყოს ახალი ხელშეკრულება. გერმანელებისათვის იგი მოასწავებს დიდი კარტელების კონტროლის დაბრუნებას... და გავლენიან პოსტებზე ვერმახტის გენერლების დაბრუნებას. დასავლეთ ევროპისათვის იგი იმის მომასწავებელია, რომ გაერთიანებულ დასავლეთ ევროპას შეუერთდა გერმანიის ძლიერება, რასაც მოსდევს საფრთხე, რომ უფრო სუსტი დემოკრატიები განადგურდნენ და გერმანია კვლავ გაბატონდება ევროპაში“.

ინგლისი

ლონდონი, 27 მაისი. (საკღესი). ეხება რა საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 24 მაისის ნოტას, გაზეთი „დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში ერთმანეთს უპირდაპირებს გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის თავიდან აცილების საქმეში საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის ვალდებულებას, რასაც შეიცავს ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულება, და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, რასაც ითვალისწინებს სპარატული სამხედრო ხელშეკრულება. გაზეთი წერს, რომ ევროპის არც ერთ ხალხს არ სურს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

ეხება რა საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნას, რომ მას მიეცეს გარანტიები დასავლეთ გერმანიის ბატონობის წინააღმდეგ, გაზეთი წერს: „სისულელეა შეიარაღონ დასავლეთ გერმანიის გერმანელები, ხოლო შემდეგ იბურტყუნონ საფრთხის შესახებ და მოითხოვონ გარანტიები იმის შედეგების წინააღმდეგ, რაც უკვე გაკეთდა. რასაკვირველია, უკეთესია სულ არ შეიარაღონ გერმანია, ვიდრე ეცადონ მიიღონ გარანტიები სწორედ იმ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც წარმოშვა საკუთარმა პოლიტიკამ ან უფრო მლიქვნელობამ ამერიკის პოლიტიკის წინაშე.

საბჭოთა კავშირმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება გაერთიანებული, დემოკრატიული გერმანიისათვის ხელშეკრულების შესამუშავებლად. ინგლისის მუშათა მოძრაობამ, წერს გაზეთი, უნდა მოითხოვოს, რომ ინგლისის პარლამენტმა უარი თქვას ეგრეთწოდებული საერთო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე და დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი გერმანიის ერთიანობისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე.

გაზეთი „ტაიმსის“ აღიარებით, დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის ნაკლოვანება ის არის, რომ გათიშვა ევროპაში გაძლიერდება და რომ გერმანიის გაერთიანება უფრო ძნელი და შორეული საქმე იქნება. „უახლოეს მომავალში შესაძლოა ამ პოლიტიკამ გამოიწვიოს ომის საფრთხის გაძლიერება ისე, რომ არ უზრუნველყოს დასავლეთის მნიშვნელოვანი გაძლიერება“.

„ტაიმსი“ აღიარებს, რომ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას“ აქვს შინაგანი წინააღმდეგობანი, „რომლებიც სამოლოო ანგარიშით შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მისთვის“.

გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ ბევრ ადგილს უთმობს საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისადმი. გაზეთის აზრით, საბჭოთა ნოტა გაადვილებს სპარატული სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციას.

გაზეთის პარიზული კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობა გარკვეულ სიძნელეებს წააწყდება დასავლეთ გერმანიასთან ხელშეკრულებათა რატიფიკაციის დროს.

„მანჩესტერ გარდიანი“ აგრეთვე ათავსებს თავისი ბონელი კორესპონდენტის სტატიას ვრცელ სტატიას. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, საბჭოთა ნოტა მიღებულ იქნა, როცა გაჩაღებული იყო „აბნეული მოლაპარაკება“, რომელიც, კორესპონდენტის სიტყვით, წარმოადგენდა „მლიქვნელობის, მუქარისა და საღ წინადადებათა ნარევს... ნოტა, უეჭველია, დიდ გავლენას მოახდენს გერმანელ ხალხზე“.

„მანჩესტერ გარდიანი“ ეხება სპარატულ სამხედრო ხელშეკრულებას და წერს: „ხელშეკრულება იდება ნახევარ გერმანიასთან და არა მთელ გერმანიასთან. ამის გამო უცილობელია, რომ ეს ხელშეკრულება საიმედო არ არის. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანების მოთხოვნა, რაც გაისმის საზღვრის ორივე მხარეს, ყოველთვის მოახდენს ზეგავლენას დასავლეთ ევროპასთან დასავლეთ გერმანიის სრული გაერთიანების საწინააღმდეგოდ“.

„იორკშირ პოსტი“ თავლსაჩინო ადგილს ათავსებს საბჭოთა მთავრობის ნოტას გაზეთის დიპლომატიური მიმოხილველის გადმოცემით და ცნობას ასეთ სათაურს უკეთებს: „რუსეთი კვლავ იძლევა წინადადებას მოეწყოს ოთხმხრივი მოლაპარაკება“.

ლონდონი, 28 მაისი. (საკღესი). გაზეთმა „ტაიმსმა“ გუნნერ სარედაქციო სტატია უძღვნა საბჭოთა მთავრობის ნოტას გერმანიის საკითხზე. „რუსები,—წერს „ტაიმსი“, — მომზდარ ცვლილებებს ამბალებენ დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებმაც, მიუხედავად საბჭოთა კავშირის წინადადებებისა დაიწყოთ მოლაპარაკება გერმანიის ერთიანობის შესახებ, ხელი არ აიღეს დასავლეთ გერმანიასთან ხელშეკრულებისა და დამატებით შეთანხმებათა ხელმოწერაზე. უეჭველია, ახალ შეთანხმებათა ხელმოწერა აძნელებს უახლოეს ხანებში გერმანიის ერთიანობის უზრუნველყოფას“.

„ტაიმსი“ ცდილობს გაამართლოს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა გერმანიის საკითხში.

„ტაიმსი“ დასასრულ ხაზგასმით აღნიშნავს: „ნატაში ნათქვამია, რომ „გერმანული ხალხი“ იძულებულია ეძებოს „საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ეროვნული გაერთიანების თავისი გზები“. უფრო მეტიც, ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების მომზადებამ დაყოვნებამ „არ შეიძლება არ გამოიწვიოს გერმანელი ხალხის კანონიერი უკმაყოფილება“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დასავლეთის სახელმწიფოების სამ საგარეო საქმეთა მინისტრს ჯერ კიდევ არ შეუსწავლია საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის შესახებ და რომ მოხდა მხოლოდ აზრთა წინასწარი გაცვლა.

„დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ბონში ხელმოწერილი სპარატული ხელშეკრულება გამცემლური ლახვარია ინგლისისათვის“. ბონის შეთანხმება, წერს „დეილი უორკერი“, „აღადგენს გერმანიის მილიტარიზმის უაღრესად საშიშ ფორმას და აახლოებს ომს. იგი ხელს უშლის გერმანიის გაერთიანებას, აფერხებს ნამდვილი დემოკრატიის განვითარებას და ახალ აუტანელ ფინანსურ ტვირთს აკისრებს ინგლისელ ხალხს, რომელიც მძინე განსაცდელშია.“

„დეილი უორკერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, რამდენადაც ევროპაში გერმანიის შეიარაღებულ ძალებში 400 ათასი კაცი იქნება, „რიცხვით ეს ძალები თანაბარი იქნებიან ინგლისის მთელი შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც გაფანტული არიან მთელ მსოფლიოში, და განუზომლად უფრო ძლიერი იქნებიან ევროპაში განლაგებულ ინგლისის ჯარებზე“.

„დეილი უორკერის“ პოლიტიკური მიმომხილველი აცხადებს, რომ პარლამენტის 30 წევრის მიერ ხელმოწერილი რეზოლუცია „ფაქტიურად საეჭვოს ხდის ოდენს უფლებას ხელი მოაწეროს ბონსა და პარიზში შეთანხმებებს დასავლეთ გერმანიის არმიის შესახებ“.

შვეიცარია

ბერნი, 27 მაისი. (საკღესი). შვეიცარიის გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს შინაარსი საბჭოთა მთავრობის ნოტებისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

„გაზეტ დე ლოზანნ“ მოჰყავს საბჭოთა მთავრობის პასუხის ამონაწერები დიდი სათაურით: „სსრ კავშირი მოითხოვს დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხზე. საბჭოთა კავშირი კვლავ იცავს თავის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ არჩევნებისადმი კონტროლი განახორციელოს მაკუპირებელ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კომისიამ“.

ავსტრია

ვენა, 28 მაისი. (საკღესი). დემოკრატიულ პრესას დაწვრილებით მოჰყავს შინაარსი საბჭოთა მთავრობის ნოტისა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე.

„ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს ნუ გააჭიანურებენ გერმანიის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც ევროპაში მშვიდობის საფუძველია.

„დერ აბენდი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტაში სავსებით მხილებულია მაენერები დასავლეთის სახელმწიფოებისა,

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 30 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯგარების წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ აღმოსავლეთ სანაპიროსთან სახალხო არმიის ნაწილებმა ჩაძირეს მტრის ერთი საესკადრო ნაღმოსანი № 786 და დიდი ზიანი მიაყენეს მეორე საესკადრო ნაღმოსანს № 455, რომლებიც შეიჭრნენ ვონსანის სანაპირო წყლებში და საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონებისათვის ბომბისა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

გამალებული შეიარაღების შედეგები

ანტისახალხო კანონების მიღება დანიის ფოლკეტინგში

კოპენჰაგენი, 30 მაისი. (საკდესი). დანიის ფოლკეტინგმა (პარლამენტის ქვედა პალატა) სასწრაფო წესით მიიღო დანიელი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი დაქვეითებისაკენ მიმართული მთელი რიგი კანონები. მიღებულია კანონები არაპირდაპირი გადასახადების მოქმედების ვადის გახანგრძლივების შესახებ, საფოსტო „ტარიფების გადიდებისა და მილიტარიზაციაზე 300 მილიონი კრონის დახარჯვის შესახებ იმ სახსრებიდან, რაც მიღებულია „მარშალის გეგმით“ მოწოდებული საქონლის რეალიზაციით“. მიღებულია აგრეთვე სხვა კანონები.

ფოლკეტინგის უმრავლესობამ უარყო კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წინადადება საბინაო მშენებლობაზე 300 მილიონი კრონის გამოყენებისა, მტკიცე ფასების დაწესებისა და ფასებზე კონტროლის გაძლიერების შესახებ.

გუშინ რიგისდგის ორივე პალატა დათხოვნილ იქნა საზაფხულო არდადეგებისათვის.

დი-ვიგორიოს განცხადება

რომი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც ცნობილია, დე გასპერის მთავრობამ უარი უთხრა პასპორტის მიცემაზე იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივანს დი-ვიტორიოს, რომელიც უნდა გამგზავრებულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან დაკავშირებით დი-ვიტორიომ გაზეთ „პაეზე სერას“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„ჩემი აზრით, მინისტრ შელბას მიერ დაკავებული პოზიცია და მისი უარი ჩემთვის პასპორტის მოცემაზე ნაკარნახევია ამერიკის მთავრობის მიერ, რომელსაც ბუნებრივია, არა სურს მნახოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ამავე დროს არ იცის როგორ მოიხრახა უარი ვიზაზე, რამდენადაც საქმე შეეხება ჩემს წარმომადგენლობითი ხასიათის მისიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში. ამერიკის მთავრობა ამ საძნელო მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ზეგავლენას ახდენს იტალიის მთავრობაზე და მოითხოვს მისგან, რომ არ დამიბრუნოს პასპორტი“.

ფრანგი მშრომელები აღაშფოთა ქაკ დიუკლოს დაპატიმრებამ

პოლიციის თვითნებობის წინააღმდეგ!

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). ყველა დილის გაზეთი კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ხალხის საპროტესტო მანიფესტაციებს, რომლებიც მთელ საფრანგეთში მოეწყო პარიზს ამერიკელი გენერალის რიჯუეის ჩამოსვლისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ქაკ დიუკლოს უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ.

გაზეთი „ლუმანიტე“ აქვეყნებს ქაკ დიუკლოს შემდეგ განცხადებას, რომელიც მან გუშინ გააკეთა სასამართლოს გამომძიებლის კაბინეტში:

„ახლანდელი მმართველები იქცევიან როგორც ლაქიები, რომელნიც მლიქვნელობენ თავიანთი ამერიკელი ბატონების წინაშე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ბრიუნი ფარულად მოვიდა კომისარიატში მაშინ, როცა პორტფელი მომპარეს. ეს ძალიან მოგვაგონებს პიუშეს (შინაგან საქმეთა მინისტრი პეტენის მთავრობაში.— რედ. შენიშვნა) მეთოდებს. იგი ესწრებოდა პატრიოტების წამებას და იმის პრეტენზია ჰქონდა, რომ თითქოს მან მოსპო კომუნიზმი. პიუშეები და ბრიუნები ქრებიან და გაქრებიან, კომუნიზმი კი იცოცხლებს.

ამ ბრძოლებში, ისევე როგორც სხვა ბრძოლებში, ხალხი იმარჯვებს და გაიმარჯვებს“.

„ლუმანიტე“ აქვეყნებს აგრეთვე განცხადებას, რომელიც გააკეთა ქაკ დიუკლოს ცოლმა ქალბერტა დიუკლომ.

მან ამბილა ყალბი მტკიცება, რომელიც გაიმეორა რეაქციულმა პრესამ, იმის შესახებ, რომ ქაკ დიუკლოს დაპატიმრება თითქოს „შემთხვევით“ მოხდა. „სრულიადაც არა, — განაცხადა მან. — საქმე ეხება უაღრესად უხეშ პროვოკაციას, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც ჩვენ „ლუმანიტეს“ რედაქციიდან გამოვედით 22 საათსა და 15 წუთზე და ტამპლის ტუჩით შინ მივდიოდით. პოლიციელთა ავტომანქანებმა გზა გადაგვიღობეს, და, როცა ჩვენი ავტომანქანა მიუახლოვდა პოლიციელებს, მათ დაიყვირეს: „აი ისინი! აი ისინი!“. ყველაფერი წინასწარ მომზადებული იყო. იქვე იდგა პოლიციელთა ფურგონი, და ჩვენ მე-10 ოლქის საპოლიციო კომისარიატში წაგვიყვანეს...“

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრიუნის იმ განცხადების პასუხად, რომ საფრანგეთში თითქოს არის ერთგვარი კომუნისტური „შეთქმულება სახელმწიფოს საშინაო უშიროების წინააღმდეგ“, გაზეთი „ლუმანიტე“ დღეს ათავსებს მოწინავე სტატიას სათაურით „დიახ, შეთქმულება არის“. სტატიაში ნათქვამია:

„დიახ, შეთქმულება არის! ეს საფრანგეთის ბურჟუაზიის მუდმივი შეთქმულებაა მშვიდობის წინააღმდეგ და თვით საფრანგეთის წინააღმდეგ. ეს არის შეთქმულება პოლიტიკური საქმისნებისა, რომლებმაც ვაშინგტონის ბრძანებით საფრანგეთისა და მშვიდობის აშკარა მტრებთან — გერმანელ მილიტარისტებთან დადეს სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც ფრანგ ჯარისკაცებს ფაშისტ გენერლების სარდლობის ხელში აგდებს.

ეს არის მუდმივი შეთქმულება ხალხის ექსპლოატატორებისა, რომლებიც აცხადებენ კაპიტალისტური ძარცვის ამნისტიას და კვეცავენ მშრომელთა უმნიშვნელო ხელფასს. სწორედ ამ შეთქმულების წინააღმდეგ, ბაქტერიოლოგიური ომის უცნაური გენერლის წინააღმდეგ, თვით საფრანგეთისათვის, მშვიდობისათვის გაელაშქრა ჩვენმა ხალხმა ამა წლის 28 მაისს. სწორედ ამ შეთქმულების წინააღმდეგ, ქაკ დიუკლოს და ანდრე სტილის განთავისუფლებისათვის დაიწყო გუშინ პროტესტები, გაფიცვები და მანიფესტაციები და ამავე დროს პარიზში მთელი ჩვენი ქვეყნიდან მოვიდა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის გამომხატველი პირველი ცნობები. ხალხი, მასების ერთიანი მოქმედება ჩაშლის ამ შეთქმულებას. მშვიდობა ბოლომდე დაცულ იქნება მტრებისაგან, რომელთაც დანაშაულზე წაასწრეს“.

გუშინ საფრანგეთის ეროვნული კრების სხდომაზე ქაკ დიუკლოს უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა კომუნისტმა დეპუტატმა ფერნან გრენიემ.

„28 მაისს 22 საათსა და 15 წუთზე, — განაცხადა მან, — დაპატიმრეს „ლუმანიტეს“ რედაქციიდან თავის ცოლთან ერთად შინ მიმავალი ჩვენი საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ქაკ დიუკლო, რითაც დარღვეულია კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს ერის რჩეულთა საპარლამენტო ხელშეუხებლობას.

ჩვენ უაღრესად მტკიცე და უაღრესად დასაბუთებულ პროტესტს ვაცხადებთ ამ საშინელი პროვოკაციის წინააღმდეგ.

იმისათვის, რომ საჯაროობილეში ჩაესვათ ქაკ დიუკლო, ვერდენთან ბრძოლის მონაწილე, ის, ვინც მორის ტორეზთან ერთად ხელმძღვანელობდა წინააღმდეგობის მოძრაობას ჰიტლერული ოკუპაციის დროს, საფრანგეთის პირველი პოლიტიკური პარტიის მდივანი და ამ პარტიის აზრის გამომხატველი პარლამენტში, შინაგან საქმეთა მინისტრმა გაბედა განეცხადებინა, თითქოს „ქაკ დიუკლო დააპატიმრეს, რადგან დანაშაულის ადგილას დააკავეს“.

ჩვენ ამის წინააღმდეგ მოგვყავს ფაქტები:

1. ქაკ დიუკლო დემონსტრაციის ადგილას არ დაუკავებიათ. ამ დღეს, საღამოს 5 საათიდან, ვერც ერთი ავტომობილი ვერ გაივლიდა რეპუბლიკის მოედანზე. დიუკლო დაპატიმრეს დემონსტრაციის დამთავრების ორი საათის შემდეგ.

2. ქაკ დიუკლოს ავტომობილში არ ყოფილა არავითარი რადიოგადამცემი, იქ იყო მხოლოდ ჩვეულებრივი რადიომიმღები, როგორიც ათასობით მსუბუქ ავტომანქანაშია.

3. შესაძლებელია, რომ ავტომობილში იპოვნეს რევოლვერი, ეს საკმაოდ ბუნებრივია იმ თავდასხმის შემდეგ, რომელიც მოაწყეს ქაკ დიუკლოზე ქალაქ ოშში (თავდასხმა, რომელიც სრულიად დაუსჯელი დარჩა), ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის ჟულიენ ლიაოს მოკვლის შემდეგ, იტალიაში პალმირო ტოლიატტზე თავდასხმის შემდეგ. როცა ფაშისტები თავს ესხმიან თადარიგის რესპუბლიკელ ოფიცერთა ყრილობას, როცა ბანდიტები გაბუთ „ორორო-ფრანს-ლიბრის“ მოწოდებით თეატრში შლიან როკე ვაიანის პიესის წარმოდგენას, როცა ისინი 15-ჯერ აწყობენ აფეთქებას დემოკრატიული ორგანიზაციების სადგომებში და ამის შემდეგ დაუსჯელი და თავისუფალი რჩებიან,— ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შეთანხმებული არიან პოლიციასთან“.

შემდეგ გრენიემ რეაქციული პარტიების დეპუტატებს განუცხადა:

„სიმართლე ის არის, რომ თქვენ ვერ მოახერეთ თავს ჩვენს ქვეყანას ფაშისტურ რეჟიმს და ომს, თუ არ შეეცადეთ ჩამოშოროთ თქვენი მთავარი მოწინააღმდეგე — საფრანგეთის კომუნისტური პარტია!“

დასასრულ გრენიემ განაცხადა:

„კონსტიტუციის თანახმად კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფი მოითხოვს დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნას მისი თავმჯდომარე ქაკ დიუკლო და მოუწოდებს ფრანგ ხალხს განაგრძოს ბრძოლა თავისუფლებათა და კაცობრიობის ყველაზე ძვირფასი სიკეთის — მშვიდობის დასაცავად!“.

გაზეთი „ლუმანიტე“ აქვეყნებს აგრეთვე საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და დასახლებული პუნქტებიდან მიღებულ ცნობებს, რომ გუშინ გაიმართა სახალხო მანიფესტაციები, გაფიცვები და მიტინგები ქაკ დიუკლოს დასაცავად.

გამოქვეყნდა დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ პალმირო ტოლიატის, მატიას რაკოშის, მაქს რაიმანის, იტალიის, ბელგიის, ალჟირიისა და სხვა ქვეყნების დემოკრატიული ორგანიზაციების საპროტესტო დეპეშები. შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მიმართა ფრანგ ხალხს და მოუწოდა ყველა მშრომელს დაუყოვნებლივ დაიწყონ ბრძოლა ქაკ დიუკლოს, ანდრე სტილის და ყველა პატრიოტის განთავისუფლებისათვის, რომელნიც იმიტომ დააპატიმრეს, რომ ისინი მშვიდობის დასაცავად მოქმედებენ.

მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით:

„გაერთიანდით და მოაწყეთ მანიფესტაციები და გაფიცვები მშვიდობის, პურისა და თავისუფლების დასაცავად... ომი და ფაშიზმი ვერ გაიმარჯვებს!“

ბურჟუაზიული პრესა იძულებულია აღიაროს პარიზს რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ ხალხის საპროტესტო მოძრაობის უდიდესი მასშტაბი და ძალა. მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ ფრანგ მშრომელთა მანიფესტაციები, მიტინგები, კრებები და გაფიცვები ფაქტიურად მიმართულია არა მარტო რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ, არამედ საფრანგეთის მმართველი წრეების მთელი „ატლანტიკური“ პოლიტიკის წინააღმდეგაც.

ქაკ დიუკლოს დაპატიმრების გამო

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, დღეს დღისით ქაკ დიუკლო „ფრენის“ საპყრობილიდან გადაიყვანეს „სანტეს“ საპყრობილის პოლიტიკურ პატიმართა განყოფილებაში.

პარიზი, 30 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო იუწყება, რომ დღეს დილით პოლიციამ გაჩხრიკა ქაკ დიუკლოს ბინა.

პროვესორები ქაკ დიუკლოს დაპატიმრების წინააღმდეგ

პოლონეთი

ვარშავა, 30 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის პოლიციის მიერ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ქაკ დიუკლოს უკანონო დაპატიმრებამ პოლონელ მეცნიერთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

ვარშავის 5 ათასზე მეტი მეცხოვრები შეიკრიბა გუშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიდ დარბაზში, რათა პროტესტი განეცხადებინათ საფრანგეთის რეაქციის ამ უმაგალითო პროვოკაციის წინააღმდეგ. 2 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა მოედანზე ინსტიტუტის მახლობლად რეპროდუქტორებთან, რათა ამრიგად მონაწილეობა მიეღო მიტინგში.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ, სპროტესტო მიტინგის მონაწილენი, გამოთქვამთ დიდ აღშფოთებას და უაღრესად მტკიცე პროტესტს ფრანგი ხალხის ხელმძღვანელის, მშვიდობისათვის დიდი მებრძოლის ამხანაგ დიუკლოს ვერაგული დაპატიმრების წინააღმდეგ.

ამხანაგ დიუკლოს დაპატიმრება, რაც მოხდა ამერიკელ იმპერიალისტთა ბრძანებით იმ მომენტში, როცა ფრანგი ხალხი გამოვიდა სამზედრო დამნაშავის, კაცისმკვლელი გენერლის რიჯუეის ჩამოსვლის წინააღმდეგ, იმ მომენტში, როცა ევროპის ხალხები აღშფოთებით გმობენ იმპერიალისტთა ბონის შეთქმულებას, წარმოადგენს საზიზღარ პროვოკაციას და ამაო ცდას, რომლის მიზანია საფრანგეთის მშრომელი მასების გმირული ბრძოლის ჩახშობა.

ჩვენ, ვარშავის მშრომელთა წარმომადგენლები, სალამს ვუძღვნით პარიზის გმირ მშრომელებს, რომლებიც იცავენ მშვიდობის დიდ საქმეს, რაც ყველა ხალხის საერთო საქმეა.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ამხანაგი ქაკ დიუკლო!

გაუმარჯოს ფრანგი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და მშვიდობისათვის, ამერიკელ ოკუპანტთა და ეროვნული ღალატის მთავრობის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო სოლიდარობას!“.

ნორვეგია

ოსლო, 30 მაისი. (საკდესი). გაზეთმა „ფრიჰეტენმა“ გამოაქვეყნა სპროტესტო რეზოლუცია, რომელიც ნორვეგიის კომუნისტური პარტიის სამდივნომ გაუგზავნა საფრანგეთის საელჩოს ოსლოში. რეზოლუციაში ნათქვამია:

„ჩვენ უდიდესი აღშფოთებით გავიგეთ, რომ ფრანგი ხალხის ორი საუკეთესო შვილი — ქაკ დიუკლო და ანდრე სტილი — მოთავსებულია საპყრობილეში. მათი „დანაშაული“ ის არის, რომ მათ გამოთქვეს მშვიდობისა და თავისუფლების ყველა მომხრის აზრი, სახელდობრ — რომ ბაქტერიის გენერალი რიჯუეი უნდა გაშორდეს საფრანგეთსა და ევროპას. დიუკლო, როგორც პარლამენტის დეპუტატი, თითქოს, ხელშეუხებლობის კანონის მფარველობაშია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დაუპატიმრეს.

ნორვეგიის კომუნისტური პარტია სოლიდარობას უცხადებს ფრანგი ხალხის ბრძოლას რიჯუეის წინააღმდეგ და ამით — მშვიდობის საქმის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასაც. ჩვენ ვუერთდებით ფრანგ ხალხს და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან დიუკლო, სტილი და სხვები, რომლებიც დაპატიმრებული არიან ბაქტერიის გენერლის წინააღმდეგ პროტესტისათვის.

ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეუწყდეს საფრანგეთის მუშათა კლასის სახელოვანი ორგანოს — გაზეთ „ლუმანიტეს“ საზიზღარი დევნა.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ საფრანგეთის საელჩომ სასწრაფოდ აცნობოს ჩვენი პროტესტი საფრანგეთის მთავრობას“.

დანია

კოპენჰაგენი, 30 მაისი. (საკდესი). დანიის პროგრესული საზოგადოებრიობა უკიდურეს გულისწყრომას გამოთქვამს საფრანგეთის მთავრობის თვითნებობის გამო, რომელმაც ქაკ დიუკლო დაუპატიმრა.

გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ დღეს აქვეყნებს დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოლიდარობის დეპეშას, რომელიც გაეგზავნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

„ქაკ დიუკლოს დაპატიმრებამ, — ნათქვამია დეპეშაში, — ჩვენშიც გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. შავი ჭირის გენერალ რიჯუეის ჩამოსვლასთან ერთად მოხდა ფაშისტური თავდასხმა ხალხთა დემოკრატიულ უფლებებზე. გაუმარჯოს ჩვენი ხალხების ერთობლივ ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის! ძირს ფაშიზმი! გაათავისუფლეთ დიუკლო! გაუმარჯოს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას!“.

დღეს თბილისში

თბილისი. *კიროვის სახელობის პარკში.*
ფოტო ეს. გინზბურგისა

გორში, რუსთავში, სამგორსა და მცხეთაში

ათასობით თბილისელ მშრომელთა საექსკურსიო ჯგუფები მიეშგზავრებიან დასასვენებლად და ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად გორში, რუსთავში, სტალინის სახელობის სამგორის სარწყავ სისტემაზე და საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში.

გორში წასული ექსკურსანტები დათვალიერებენ ისტორიულ სახლს, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა პროგრესული კაცობრიობის ბელადმა, მშვიდობის დიდმა მეგრძოშემ ამხანაგმა სტალინმა. დათვალიერებენ აგრეთვე გორის ისტორიულ ციხეს, ბამბეულის საქსოვ კომბინატს, მთელ რიგ ახალშენებლობებს.

რუსთავში საექსკურსიოდ მიემგზავრება მრავალი თბილისელი მშრომელი: სასოფლო სპეციალისტ ორგანიზაციის მუშაკები, რადიოტექნიკუმის მასწავლებლები და მოსწავლეები, გეოლოგების ჯგუფი, დახლის მუშაკები და ა. შ. ექსკურსანტები დათვალიერებენ მეტალურგიული ქარხნის საამქროებს, ახალი ქალაქის უბნებს, კულტურისა და დასვენების პარკს.

ექსკურსანტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები მიეშგზავრებიან სამგორსა და მცხეთაში. მათი უმეტესობა დღეს ნახავს საცხენისის სწრაფდენა (წყალვარდნილი), [illegible] ბილისის წყალსაცავის ყვავილოვანი [illegible] ფასული [illegible] ქართველოს კლასიკური ხუროთმოძღვრების ძეგლს — სვეტიცხოველს, არმაზს, არქეოლოგიური გათხრების ადგილს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ტურისტული მარშრუტის გახსნა

1 ივნისს იხსნება ტურისტული მარშრუტი ძაუჯიყაუ-თბილისი-გორი-მწვანე კონცხი-სტალინთა კავშირის მრავალი სამრეწველო ცენტრიდან და ქალაქიდან ამ მარშრუტით წასულთა პირველი ჯგუფი დღეს გამოვა ძაუჯიყაუდან.

გზადაგზა ტურისტების დასასვენებლად მარშრუტის მთელ მანძილზე შერჩეულია შემდეგი პუნქტები: ყაზბეგი, სადაც ტურისტები ისვენებენ 3 დღეს, ფასანაური — ისვენებენ აგრეთვე 3 დღეს, მცხეთა — 2 დღეს, თბილისში — 3 დღეს. თბილისიდან ტურისტები გავლენ გორიკავკასიან, სადაც დაჰყოფენ 2 დღეს, შემდეგ მატარებლით მწვანე კონცხზე ჩავლენ და დარჩებიან 4 დღეს, ხოლო იქედან ჩავლენ ბათუმში, სადაც მარშრუტი მთავრდება.

კონცერტები, სახალხო სეირნობანი

⊙ **გუშინდელი და დღევანდელი** დღე გამოცხადებული ეროვნულ ეროვნის სახელობის კლუბის საზაფხულო ბაღში სეზონის გახსნის დღეებად. დღეს აქ სეზონის გახსნის აღსანიშნავად გაიმართება დიდი კონცერტი ქართული ესტრადის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს მედიცინის მუშაკთა ცეკვის ანსამბლი, რომელსაც კ. ჩიკაძე ხელმძღვანელობს.

⊙ **ორჯონიკიძის სახელობის** კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში ბავშვთა დღეგის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დღეს დილის 10 საათიდან გაიმართება ბავშვების მასობრივი სეირნობა. საღამოს გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა და საიათნოვას სახელობის სიმღერი ანსამბლის კონცერტი ვალარშაკ საკანის ხელმძღვანელობით. პარკში იმუშავებს სბავშვო რკინიგზა და სხვა ატრაქციონები.

⊙ **ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკში** მოსკოვის კინოატელიერის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით დღეს საღამოს გაიმართება დიდი კონცერტი. მონაწილეობენ სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. ალისოვა, ბ. ანდრეევი, მ. კუზნეცოვი, ა. სმირნოვა და სხვები.

ზაზის უძლიერეს მოთამაშეთა შეხვედრა

დღეს საღამოს 8 საათზე თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართება ზაზის მოთამაშეთა შორის საქართველოს 1952 წლის პირველობისათვის შეჯიბრების მონაწილეთა მორიგი ტური.

ერთმანეთს შეხვდებიან უძლიერესი მოთამაშეები.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 5

გამოვიდა და ხელისმოწერილებს დაურიგდა მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 5.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: ჩვენი „პრავდა“ („პრავდის“ პირველი ნომრის გამოცემიდან 40 წლისთავის გამო); ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ბებიაშვილი — რადიოს დღე; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. მირიანაშვილი — სერგი ივანეს-ძე ვავილოვი; დოცენტი ტ. ვეფხვაძე — რადიოლოკაცია; პროფესორი მ. საკაკშვილი — ავიაცენა (გამოჩენილი ტაჯიკი ბუნებისმეტყველი); დოცენტი ვ. გიოშვილი — ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო; ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი დ. მშვენიერაძე — ძველი ქვის ხიდი ჩოლაბურზე; გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. უკლება — ბრძოლა არქტიკისათვის; ინჟინერი შ. გურაბანიძე — ზუსტი ხელსაწყოები თბილისის მარკით კომუნიზმის დიადი მშენებლობისათვის; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. გეგეშიძე — ბორბლის წარმოშობის საკითხი; ი. თუმანჯანოვი, ლ. ჯაფარიძე, მ. სახოკია — დ. ი. სოსნოვსკი; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ი. შკლოვსკი —ახალი მეცნიერების — რადიოასტრონომიის მიღწევები; ინჟინერი გ. კიკნაძე — ნორჩ ტექნიკოსთა დასახმარებლად; ერთი სკოლის ნორჩი ტექნიკოსები; მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი; პასუხი მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 5

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

გ. ტაბიძე — ღიმილი ბავშვის ბაგეზე (ლექსი).

საერთო სათაურით „დონი ვოლგას შეუერთდა“ წერილები: დონის წყალი მიედინება ვოლგასთან შესაერთებლად. უკანასკნელ საათში. ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლებთან.

მეორე გვერდი — საერთო სათაურით: „მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის“ („მშვიდობა უნდა ბავშვს, ვით ყვავილს მზე“) წერილები: გ. ურიდია — ნორჩი თაობის ბედნიერებისათვის. მ. ვოზნესენსკი — ერთ სკოლაში. გამოცდილი ხელი, მ. ავალიშვილი — ნორჩი ნატურალისტები. ციფრები და ფაქტები.

მაო დუნი — წყეული სათამაშოები. ი. ვაკასი — ხიროსიმელი მოწაფის მოგონება. ნაზიმ ჰიკმეთი — დაბადება. ბ. ბრეხტი — მშვიდობა (ლექსები).

მესამე გვერდი — უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი — ფელეტონი — ნ. ნარიანი — შპარგალა. დღიური — ატლანტიკური ჰარმონია. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. სადღეისო თემაზე.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

2 ივნისს

06.25—ქართული ხალხური სიმღერები; 07.30—კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან; 09.20 — რუს. კომპოზიტორთა უვერტიურები; 11.00 — საუბარი; 11.10—ბახის მესამე სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის; 17.15—ქართული ხალხური სიმღერები თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15—სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.15—საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 19.45—საუბარი: „ბავშვთა აღზრდის ფიზიოლოგია“.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა ოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.30—ქალაქის ქსელით — კონცერტი; 20.45 — ამერიკული მუსიკის კონცერტი; 21.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად: ი. ბ. სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“; 21.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 22.45—ლიტერატურული გადაცემა; 23.05 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 00.05—პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

სამტრესტის ღვინის № 2 ქარხანა
ჭყიდის დეფექტიურ სხვადასხვა ზომის ბოთლს 70 კაპიკად. მისამართი: ქალაქი თბილისი, გოგოლის ქ. № 63.

საჭირო

5-6 თანრიგის ხარატები, 4-5-6 თანრიგის მღარველები, 4-5-6 თანრიგის მხეხავები, 4-5-6 თანრიგის ზეინკლები, 4-5-6 თანრიგის ზეინკალ-მემონტაჟეები, 4-5-6 თანრიგის მრანდავები, 4-5-6 თანრიგის მეთუნუქეები, 4-5-6 თანრიგის ელექტრიკოსები, 4-5-6 თანრიგის ხუროები, 5-6 თანრიგის ელექტრო-შემდუღებლები, ცეცხლფარეშები, დამხმარე მუშები და მტვირთავები. ამ სპეციალობებზე მიიღებიან მოსწავლეები ინდივიდუალური სწავლებისათვის. სწავლების პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელფასით. სწავლის ვადაა ერთიდან ექვს თვემდე. სასწავლებლად მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი.

სამუშაოზე მიღებულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

ცნობებისათვის მიმართეთ 9-დან 19 საათამდე შემდეგი მისამართით: შაუმიანის ქ. № 3 (26 კომისრის რაიონი). შესასვლელი ეზოდან, ტელეფონი № 3-90-21.

თბილისის ნავთობის ტექნიკუმი აწარმოებს 1952-1953 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: 1. ნავთობის ჭაბურღილების ბურღვა, 2. ნავთობის ჭაბურღილების ექსპლოატაცია და 3. გეოლოგია და ნავთობის საბადოების ძიება. განცხადება მიიღება ყოველდღე 1 აგვისტომდე. მასალები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ საცხოვრებელი ბინა, ტექნიკუმი ნაწილობრივ აუნაზღაურებს ბინის ქირას. ცნობები გაიცემა ყოველდღე ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისამართი: თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა № 9.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი (12 ს.), დონ-კიხოტი (1-ლი აბ. 8½ ს.); **რუსთაველის სახელობის** — ბეპო (12 ს.), რვალი (8½ ს.); **მარჯანიშვილის სახელობის** — მეთორმეტე ღამე (12 ს.), რევიზორი (8½ ს.); **გრიბოედოვის სახელობის** — ღრმა დაზვერვა (12 ს.), მგლები და ცხვრები (მე-60, 61-ე აბ. 8½ ს.); **სომხური დრამის**—ქორ-ოღლი (8½ ს.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჭრილობა (49-ე აბ. 10 ს., მე-60 აბ. 1½ ს. მე-14 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ყაჩაღები (11 და 6½ ს.); **მუსიკალური კ